საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდევული სიფცვაა, ფცუილებით და ჭიჩებით ბუტთის გაფანა ყველა უკარტისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი-კვირა, 9-11 აპრილი. 2021 წ. №75-76 (9194-9195) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

გავუფრთხილდეთ 9 აპრილის მონაპოვარს!

დღეს ყველანი ვიკრიბებით ევროპის მოედანზე!



1989–2021

ჩვენი „მრისხანე“ ერთობით და დუმილით ვიხსნათ საქართველო კოლექტიური მანქურთებისგან!

პოლ ჯოელი: ოპოზიცია უნდა შევიდეს პარლამენტში!

...დიპლომატიის ენა ხანდახან ისე მოდელირდება, რომ გარკვეულ დასკვნებამდე მიგვიყვანოს, — ამის შესახებ საკონსულტაციო კომპანია NSI-ს წარმომადგენელმა **პოლ ჯოელმა** საქართველოს პირველი არხის გადაცემაში „თავისუფალი ხედვა“ განაცხადა.

„არც ერთ უცხოურ მთავრობას არ სურს, მასზე თქვან, რომ ჩაერია სხვა ქვეყნის შიდა საქმეებში. შენ შეგიძლია, მიიყვანო ცხენი წყალთან, მაგრამ ვერ აიძულებ, წყალი დალიოს. პრობლემა ესაა. თუმცა, ვფიქრობ არის სხვა საშუალებები, მკაფიო პირადი კონტაქტებისას. ამის საჯაროდ გაკეთება აუცილებელი არაა. ამიტომ, ვფიქრობ, რომ საქართველოს დაფინანსებაზე სანქციების დაწესება ყველაზე ცუდი იდეაა. სიტუაცია ახლა ამ დონეზე არაა. ჩვენ გვჭირდება რბილი მესიჯები საკვანძო მოთამაშეებისგან დიპლომატიისთვის, ხელისუფლებისთვის და საკანონმდებლო შტოსთვის, რომელიც ორივე მხარეს ეტყვის — მოდით, დავდოთ ეს შეთანხმება ახლავე, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე და მივიღოთ არჩევნები, როგორიც არ უნდა ყოფილიყო ის“, — განაცხადა ჯოელმა.

ამ განცხადებით პოლ ჯოელმა გადაცემის წამყვანის, **გიორგი გვიმრაძის** შეკითხვას უპასუხა, აღრმავებს თუ არა კრიზისს საქართველოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით დასავლეთის ორაზროვანი მესიჯები და განცხადებები, როგორიც მაგალითად, ევროპარლამენტის დეპუტატთა გუშინდელი განცხადებებია.

მისი თქმით, ადვილი იქნებოდა, განცხადებაში ეწეროს, რომ მხარეები ერთმანეთს ებრძოლონ, მაგრამ ერთად იმუშაონ და თან, წინ წაიწიონ უკეთესი სისტემის შექმნის კუთხით, მაგრამ ეს არარეალისტურია და ის, რაც ახლა უნდა გაკეთდეს, შეთანხმებაზე ხელის მოწერაა.

გიორგი გვიმრაძის შეკითხვაზე, არის თუ არა ოპტიმისტურად განწყობილი საქართველოში მიმდინარე პროცესების მიმართ და აქვს თუ არა მოლოდინი, რომ პარტიები შეთანხმებას შეძლებენ, ჯოელმა განაცხადა, ვიდრე რომელიმე მხარე პროვოკაციაში უფროა დაინტერესებული, ვიდრე გადაწყვეტილების პოვნაში, პრობლემა არ მოგვარდება.

„მიზეზი, რატომაც სტატია დავწერე, ის არის, რომ სანამ რომელიმე მხარე პროვოკაციაში უფროა დაინტერესებული, ვიდრე გადაწყვეტილების პოვნაში, პრობლემა არ მოგვარდება. თუკი, რა თქმა უნდა, ოპოზიციის სხვა წევრები არ ადგებიან და არ იტყვიან — საკმარისია მიშა, დროა წახვიდე, ჩვენ აქ ახალი ლიდერები გვეყოლება, სხვა მიმართულებით წავალთ, შევალთ პარლამენტში; გულწრფელები ვიქნებით იმ ხალხთან, ვინც ხმა მოგვცა, შენს წინაშე კი არა; ვაპირებთ, მუხლჩაუხრელად ვიმუშაოთ იმისთვის, რათა უზრუნველვყოთ, რომ შემდეგი არჩევნებისას გამოსწორებული იქნება ყველა ის პრობლემა, რომელიც ამ არჩევნებზე გვქონდა. თუმცა, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რამხელა ამომრჩეველი ჰყავდა „ქართულ ოცნებას“, რა ელექტორატზე ჰქონდათ გათვლა, დაახლოებით 46 პროცენტზე, რისი იმედი ჰქონდათ? ოპოზიციას მართლა სერიოზული მიღწევა ჰქონდა“, — განაცხადა ჯოელმა.

იხ. 3 გვ.

პრემიერი მთელი გულით უსამძიმრებს მდინარე ენგურზე დაღუპულთა ოჯახებს

ყველა ინციდენტის, თავისუფალი გადაადგილების უკანონო შეზღუდვისა და უკანონო დაკავების ფაქტზე მკაცრად დადგება საოკუპაციო რეჟიმის პასუხისმგებლობის საკითხი, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა, რომელიც ვიდეოკონფერენციის ფორმატში გაიმართა. მთავრობის მეთაურმა მდინარე ენგურის გადმოკვეთისას დაღუპულთა ოჯახებს და ახლობლებს მთავრობის სახელით მიუსამძიმრა.

ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ არ დავუშვათ მესამე ტალღა!

პირველ რიგში მინდა, შევეხო ეპიდემიოლოგიურ მდგომარეობას, რომელიც, სამწუხაროდ, მძიმდება მთელ მსოფლიოში და მათ შორის ჩვენს ქვეყანაშიც; შემთხვევების მატება, რაც ბოლო დღეებში აშკარაა თითოეული ჩვენგანისგან მეტ ყურადღებას და მეტ პასუხისმგებლობას მოითხოვს.

მთავრობის მეთაურმა მოსახლეობას დაწესებული რეგულაციების მაქსიმალურად დაცვისკენ მოუწოდა.

„რა თქმა უნდა, ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ არ დავუშვათ მესამე ტალღა და თავი ავარიდოთ მკაცრ შემზღუდავ ღონისძიებებს, ამის ერთადერთი მექანიზმი არის რეგულაციების დაცვა. პირბადის სწორად ტარება, ყველა ტიპის ხალხმრავალი შეკრებებისგან, მათ შორის სოციალური ღონისძიებების ორგანიზებისგან თავის შეკავება — ეს ის ელემენტარული დათმობებია, რომლებზეც ჩვენი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის გამო უნდა წავიდეთ, მანამ ვიდრე ვაქცინაცია დაგვიცავს. მინდა, მოსახლეობას კიდევ ერთხელ მოვუწოდო ამ რეგულაციების მაქსიმალურად დაცვისკენ“!..

პრეზიდენტი პარლამენტს ყოველწლიურ მოხსენებას დღეს წარუდგენს

პრეზიდენტი პარლამენტს ყოველწლიურ მოხსენებას 9 აპრილს წარუდგენს, — ამის შესახებ ინფორმაციას პრეზიდენტის პრესსამსახური ავრცელებს.

„საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი 9 აპრილს, 12:00 საათზე, საქართველოს პარლამენტში ყოველწლიური მოხსენებით წარდგება. პრეზიდენტი წელიწადში ერთხელ პარლამენტს ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე მოხსენებას, საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, წარუდგენს. საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი პარლამენტში ყოველწლიური მოხსენებით უკვე მესამედ წარდგება“.

პარლამენტის კიდევ ორ წევრს კორონავირუსი დაუდასტურდა

არსებული ინფორმაციით, „კოვიდ-19“ დაუდასტურდათ ირაკლი ზარქუასა და ირაკლი მეძმარიაშვილს. გუშინ ვირუსი მამუკა მდინარაძეს, ბექა დავითულიანს და მაია მენაღარიშვილს დაუდასტურდათ. ამასთან, ინფიცირებულია პარლამენტის აპარატის ოთხი თანამშრომელიც.

პარლამენტმა „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონი ვენეციის კომისიას გადაუგზავნა

ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარემ არჩილ თალაკვაძემ განაცხადა.

„ორი წლის წინ ეს რეგულაციები ევროკავშირის წევრი ქვეყნების საუკეთესო სტანდარტის მიხედვით შევიმუშავეთ. ახლა კი პარლამენტმა ის ცვლილებები მიიღო, რომელშიც აისახა ვენეციის კომისიის სამი დამატებითი რეკომენდაცია. მიუხედავად იმისა, რომ ვენეციის კომისიის რეკომენდაციებთან კანონის ახალი რეგულაციების თანხვედრა მარტივად დასადგენია, ჩვენი პარტნიორების მოწოდება გავითვალისწინეთ და კანონი საბოლოო რევიზიისთვის ვენეციის კომისიას უკვე გადავუგზავნეთ“, — აღნიშნა თალაკვაძემ.

მელიას სასამართლო გადაიდო!

ჯგუფური ძალადობის ორგანიზებაში ბრალდებული „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის ნიკა მელიას საქმის არსებითი განხილვა 13 აპრილს, 11:00 საათზე განახლდება. გუშინდელ პროცესზე მოსამართლემ ნიკა მელიას სხდომათა დარბაზში დაბრუნების შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

ვინ არიან მეგი ბაქრაძის გარდაცვალების ფაქტზე ბრალდებულები?

გამოძიებისთვის ცრუ ინფორმაციის მიწოდების ფაქტზე ბრალდებულები **„ახალციხის კლინიკა იმედის“ თანამშრომლები ვიოლეტა ინასარიძე, თეა გზირიშვილი და რეანიმატოლოგის თანაშემწე ბექა ლიპარტელიანი არიან.** ამის შესახებ გარდაცვლილი მედდის მეგი ბაქრაძის ოჯახის ადვოკატმა ნინო ამაღლობელმა დაადასტურა. უფლებადამცველის განცხადებით, საქმის მასალებში შეცვლილია ჩვენებები, ამიტომ მისთვის და გარდაცვლილის ოჯახისთვის პროკურატურის გადაწყვეტილება მოულოდნელი არ ყოფილა.

პატრიარქის მხარდამჭერი აქცია

საპატრიარქოსთან მრევლის ნაწილმა გუშინ აქცია გამართა, მათი თქმით, ისინი ამ ფორმით პატრიარქს იცავენ ეკლესიის ამბოხებული ნაწილისგან.

აქციის ერთ-ერთი მონაწილის გურამ ფალავანდიშვილის თქმით, იმ შემთვევაში, თუ ჭყონდიდის ყოფილი მიტროპოლიტის პეტრე ცაავას მიერ მართული მრევლი საპატრიარქოსთან მივა, ისინი მათ ფიზიკურად დაუპირისპირდებიან და ამ ფორმით დაიცავენ პატრიარქს.

„მოვედი ეროვნულ სამოსში. ჩვენ ვნახეთ ამბოხებული ფრთა ეკლესიაში, რომელიც მეუფე სტეფანეს ფიზიკურად შეეჭრა, ისინი რა თქმა უნდა აქაც შევარდებიან, იყო ამის საშიშროება. ვნახეთ, რა ორგანიზაციები დაუკავშირდნენ მათ, ქალთა უფლებები, ფემინისტები, „გირჩელები“, ეკლესიის პირდაპირი მტრები და მოძულეები, ისინი თავისთავად ცხადია აგრესიას მიიტანენ და შევარდებიან. რომც არ შევარდნენ, აქედან რომ ვაყვიროთ და პატრიარქი შეაწუხონ, ფსიქოლოგიურად დათრგუნონ, ამას არ დავუშვებთ. ჩვენ ჩვენ საქმეს გავაკეთებთ. მრევლის სახელით ვართ მოსულები“, — განაცხადა ფალავანდიშვილმა. აქციაზე იმყოფება მომღერალი ნატო დუმბაძე.

„აქ ვიმყოფები, რომ გამოვხატო ჩემი სიყვარული უწმინდესისადმი, მშვიდობიანი სიყვარული მოვუტანეთ პატრიარქს, ძალიან ბევრი ცილისწამება ისმის, ისეთი ჟამიანობაა ახლა, რომ არც ეკლესიის და არც საქართველოს შუაზე გახლეჩვა არ შეიძლება. ასეთი უწმინდესი არავის ჰყავს მსოფლიოში. მოვედით, რომ გამოვხატოთ პატრიარქისადმი სიყვარული“, — განაცხადა ნატო დუმბაძემ.

გოგა ხაინდრავა: ეკლესიაზე შეტევას სათავეში უდგანან ბადრი ჯაფარიძე და მამუკა ხაზარაძე

ამის შესახებ რეჟისორმა გოგა ხაინდრავამ პრესკონფერენციაზე გუშინ განაცხადა. მისი თქმით, ეკლესიაზე დივერსიას აწარმოებს ტელეკომპანია „პირველი“, რომელსაც მისი თქმით, ბადრი ჯაფარიძე და მამუკა ხაზარაძე აფინანსებენ.

ამასთან, გოგა ხაინდრავამ პრესკონფერენციაზე მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე ისაუბრა, ასევე საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) მიერ გამოქვეყნებულ კვლევაზეც.

„ეკლესიაზე შეტევას სათავეში უდგანან ბადრი ჯაფარიძე და მამუკა ხაზარაძე. ეკლესიაზე დივერსიას აწარმოებს „ტვ პირველი“, რომელსაც სწორედ ეს ადამიანები აფინანსებენ. რატომ აფინანსებენ ჯაფარიძე და ხაზარაძე ტელევიზიას, რომელიც ანტიეკლესიურ კამპანიას ეწევა. „ტვ პირველი“ გადაიქცა ანტიეკლესიურ პლატფორმად, საიდანაც ყოველდღე გვესმის ანტიეკლესიური, ანტირელიგიური სიუჟეტები. ეს არის იდეოლოგიური დივერსია. ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემა აუცილებლად მოუწევს ჯაფარიძესაც და ხაზარაძესაც, ეს კითხვები ქართველ საზოგადოებაში ყოველთვის ლეგიტიმური იქნება. არანაირი კავშირი არ აქვს შალიკოს ფანჩატურს პოლიტიკასთან ისევე, როგორც არანაირი კავშირი არ აქვთ ხაზარაძესა და ჯაფარიძეს და თუ აქვთ, აგერ არის „აირაი“. წლების განმავლობაში არ ვაქცევდი ყურადღებას ამ შედეგებს. წარმოიდგინეთ, ბაქრაძე რომ გეყოლება პოლიტიკურ ლიდერად, ხომ წარმოგიდგენიათ, რა გათვითცნობიერებულია ეს ორგანიზაცია იმაში, რასაც აკეთებს, მაგრამ მიკერძოებული დაწესებულებისგანაც კი არიან ნულოვანი მხარდამჭერის პატრონები.

ნულოვანი მხარდაჭერა აქვთ იმ ადამიანებს, რომლებიც ქართველი ხალხის სახით ლაპარაკობენ და სინამდვილეში ნულოვანი რეიტინგი აქვთ...

◎ მისია შეუსრულებელია?

ჩამობრძანდით კიდევ ერთხელ, ბატონო დანიელსონ!

ერთ ძველ ამერიკულ გაზეთში გამოქვეყნებულ ნახატზე გამოსახულია თეთრკანიანი მამაკაცი, რომელიც ბორცვის თხემზე მდებარე სკოლაში აფრიკელსა თუ აფროამერიკელს მიათრევს. შავკანიანი წივის, კივის, ურჩობს, სკოლაში წასვლა აშკარად არ უნდა. რა ქნას თეთრკანიანმა? ან უნდა მიაფურთხოს და მიაგდოს „ტვირთი“ შუაგზაზე, ანდა განაგრძოს აღმართ-აღმართ ზეასვლა და ბოლოს და ბოლოს მიათრიოს შავკანიანი „თანამოძმე“ დანიშნულების ადგილამდე.

ხომ არ გაგონებთ ეს ამბავი, ძვირფასო მკითხველო, საქართველოში სადღეისოდ შექმნილ არცთუ მარტივ პოლიტიკურ სიტუაციას? ვითარება კი მართლაც რომ მძიმეა: რამდენიმე ათეულ კაცს, ვინც შარშანდელ 31 ოქტომბერს გამართულ საპარლამენტო არჩევნებზე სადეპუტატო მანდატი მოიპოვა, საკანონმდებლო ორგანოში სამუშაოდ შესვლა არ სურს. ცოტა ხნის წინათ თბილისში ჩამოსული ევროკავშირის შეფი შარლ მიშელი კეთილშობილური იდეით განიმსჭვალა — დაეხმაროს ადგილობრივ ლიდერებს, რომლებსაც აგერ უკვე თითქმის ნახევარი წელია ერთმანეთთან საერთო ენა ვერ გამოუნახიათ, ბოლოს და ბოლოს ერთად მიუსხდნენ მოლაპარაკებათა მაგიდას და მოილაპარაკონ ერთობლივ მუშაობაზე ხალხის საკეთილდღეოდ. ამ რთული ამოცანის გადაწყვეტა დავალებული ჰქონდა შვედ დიპლომატ კრისტიან დანიელსონს, რომლის დიპლომატიური ნიჭი წარსულში ევროპაში არავისში ეჭვს არ იწვევდა.

THE WHITE MAN'S BURDEN.—*The Journal, Detroit.*

ორჯერ იყო დანიელსონი თბილისში... ორჯერ ეცადა მიზანდასახული შვედი ადგილობრივი ოპოზიციის დარწმუნებას იმაში, რაშიც თვით საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც ხალხი დიდი ხანია დარწმუნდა: შარშანდელი საპარლამენტო არჩევნები არავის გაუყალბებია და სრულად ასახავს სადღეისო ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობას, ამის გაკეთება შარლ მიშელის წარგზავნილმა, სამწუხაროდ, ვერ შეძლო, თუმცა კი იგი, როგორც ჩანს, მზად იყო ხელში აეტაცებინა და საკუთრივ ჩაესვა საპარლამენტო სავარძელში თითოეული ოპოზიციონერი დეპუტატი, რომელიც ბოიკოტს უცხადებს საკანონმდებლო ორგანოს.

მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

დიდად დასანანი კია!

თუმცა, საქმეში ჩახედული ხალხის აზრით, წარმოდგენა ჯერაც არ არის დამთავრებული. კირკიტა შვედი ასე იოლად დანებებას მიჩვეული არ არის. ამდენად, გამორიცხული არ არის, რომ ბატონ დანიელსონს კვლავ ვიხილავთ თბილისში და მისი აღმასვლა ისევ გაგრძელდება. იმედი ვიქონიოთ, რომ შვედი დიპლომატის მორიგი ვიზიტი გაცილებით ნაყოფიერი იქნება.



ვადიმ ანასტასიადი,
გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ მთავარი რედაქტორი

პოლ ჯოელი: ოპოზიცია უნდა შევიდეს პარლამენტში! ის პროგრესის შესაძლებლობას უშვებს ხელიდან!

(პირველი გვერდიდან) პოლ ჯოელმა ოპოზიციას პარლამენტში შესვლისკენ მოუწოდა.

„შედით პარლამენტში! თუკი ამას გააკეთებთ, საშუალება გექნებათ, კოალიციურად იმუშაოთ „ქართული ოცნების“ კონკრეტულ ელემენტებთან, სხვა ოპოზიციასთან. თქვენ პროგრესის შესაძლებლობას უშვებთ ხელიდან. იმიტომ, რომ თქვენი მენტალიტეტით, ან თძვენებურად უნდა იყოს, ან არანაირად. ეს არასწორია. ამით იმის თქმა მინდა, რომ პროგრესი იქნება, როცა რაღაცები შეიცვლება და ეს ცვლილებები ახლავე უნდა მოხდეს, ორივე მხარიდან“, — განაცხადა ჯოელმა.

საქართველოში ბევრი რამ გაკეთდა აშშ-სთან ურთიერთობების გასამყარებლად, იყო პროგრესი, თუმცა, სამწუხაროდ, სააკაშვილისა და მისი ლობისტების პროპაგანდას დამაზიანებელი ეფექტი აქვს!

— ვფიქრობ, ყველაფერი ნათელია. ტონი ბლინკენი სახელმწიფო მდივანია და როდესაც მისი პირველი საუბარი ლავროვთან შედგა, მათ საქართველოს საკითხზე ისაუბრეს. ეს იყო პირველი კავშირი რუსებთან და ბლინკენმა ისინი გააფრთხილა, მოაშორონ ხელები საქართველოს! ამაზე მეტი რა უნდა ვითხოვოთ?! ბაიდენის ადმინისტრაცია ევრო-ატლანტიკური საზოგადოების მხარდამჭერია და მწამს, რომ სახელმწიფო მდივან ბლინკენის განცხადებები ლავროვთან იყო ერთ-ერთი მიზეზი, რატომაც ნარიშკინმა თავისი საჯარო გაფრთხილებით, განცხადებით სცადა, აშშ-ისთვის ეთქვა, თავი შორს დაიჭიროს საქართველოს შიდა საქმეებისგან. მან ასეთივე კომენტარი გააკეთა მოლდოვაში ჩატარებულ არჩევნებთან დაკავშირებითაც და ვიცით, ამას რა მოჰყვა. რუსმა კანდიდატმა წააგო და დემოკრატმა კანდიდატმა გაიმარჯვა, — განაცხადა ჯოელმა.

მისი თქმით, ნათელია, რომ ჯო ბაიდენის ადმინისტრაცია ძალიან პოზიტიურადაა განწყობილი, თუმცა საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გააგრძელოს ძალისხმევა იმ დეზინფორმაციისა და პროპაგანდის წინააღმდეგ სენატორებთან და წარმომადგენელთა პალატის წევრებთან, საქართველოში კონკრეტული საკითხების შესახებ, რომლებსაც მათ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლობისტები აწვდიან.

— მაგალითად, წავიკითხე ლობისტების საბუთები. გასულ წელს „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ ნახევარი მილიონი დოლარი გადაუხადა მისტერ შუნემანის კომპანიას, რომ მათთვის ლობირება გაეწიათ. შემდეგ კი ვნახე, რომ ბატონი შუნემანის გვარი იყო დართული საქართველოს მეგობრების წერილზე. ის კომპანიის წარმომადგენლად კი არ იყო მითითებული, არამედ ჰალიფაქსის უსაფრთხოების ორგანიზაციას წარმოადგენდა. როგორ შეიძლება, რომ ვიღაც, ვისაც დიდი ხანია, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ უხდის, იქ ყოფილიყო?! ახლა ახალი ჯგუფია „ქაგნისენთ ლობი გრუფი“, რომელიც ვაშინგტონში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლობირებითაა დაკავებული. როცა იუსტიციის დეპარტამენტში არსებული დოკუმენტები წავიკითხე, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ იყო ნახსენები, როგორც ნამდვილი პოლიტიკური ოპოზიცია საქართველოში. ეს მიუღებელია, — განაცხადა ჯოელმა.

როგორც ჯოელმა აღნიშნა, საქართველომ უნდა იმუშაოს იმაზე, რაც ურთიერთობების გასამყარებლად განსაკუთრებით, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში გაკეთდა.

„ვიცი, რომ საქართველოში უამრავი შესანიშნავი რამ გაკეთდა ურთიერთობების გასამყარებლად, განსაკუთრებით, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში თავდაცვის უწყებასთან ერთად და დაიწყო სტრატეგიული ურთიერთობები აშშ-თან ეროვნული უსაფრთხოების კუთხით. პროგრესი იყო, თუმცა სამწუხაროდ, ბატონი სააკაშვილის და მისი ლობისტების პროპაგანდას დამაზიანებელი ეფექტი აქვს და არ მგონია, ეს სწორი იყოს“!..

ნიკა მელიას უნდა, სამყაროს ცენტრი იყოს, თუმცა ეს ასე არ არის!

ნიკა მელიას უნდა, სამყაროს ცენტრი იყოს, თუმცა ასე არაა, — ამის შესახებ საკონსულტაციო კომპანია NSI-ს წარმომადგენელმა პოლ ჯოელმა საქართველოს პირველი არხის გადაცემაში „თავისუფალი ხედვა“ განაცხადა.

„ვფიქრობ, ხელისუფლება ეძებდა გირაოს გადახდის გზას, თუმცა პასუხი იყო — ოჰ, არა, არაფერს მივიღებ, აქ ვრჩები! რატომ?! იმიტომ, რომ ეს პროვოკაციის ნაწილია. სამწუხაროდ, ამან სიტუაცია დაამძიმა და ალბათ, სჯობს, ამ ინტერვიუში არ გავცე რჩევა იმასთან დაკავშირებით, რა უნდა გაკეთდეს. ვფიქრობ, ყველამ იცის, რა უნდა გაკეთდეს. ყურადღება ახლა ევროკავშირის მონახაზზე უნდა გამახვილდეს. რამეზე უნდა შეთანხმდნენ და ვფიქრობ, ეს მოლაპარაკება შედგება, თუკი ორივე მხარე მიიღებს ევროკავშირის შეთანხმებას. მელია სამყაროს ცენტრი არაა. უნდა, რომ სამყაროს ცენტრი იყოს, თუმცა ასე არაა. სამყაროს ცენტრი ახლა პარლამენტის წევრები არიან, რომლებიც უკან დაბრუნდებიან, იმუშავებენ, იბრძოლებენ, რომ გააუმჯობესონ რეფორმები, რომელთა განხორციელების პირობაც ორივე მხარემ დადო. ესაა დემოკრატია. ეს მძიმე შრომაა“...

ამ განცხადებით პოლ ჯოელმა გადაცემის წამყვანის გიორგი გვიმრაძის შეკითხვას უპასუხა, რა უნდა გაეკეთებინა ხელისუფლებას იმ შემთხვევაში, თუკი ნიკა მელიას მხრიდან სამაჯურის მოხსნა და გირაოს გადახდაზე უარის თქმა პროვოკაცია იყო.

გიორგი გვიმრაძის შეკითხვაზე, რა არის ახლა გამოსავალი, ჯოელი პასუხობს, რომ გამოსავალი ორივე მხარის მიერ ევროკავშირის შეთავაზების მიღებაა, ყველა სხვა წითელი ხაზის, პოლიტიკური პატიმრების, ვადამდელი არჩევნების შესახებ განცხადებების გარეშე.

„ისე შეიმუშაონ რეფორმები, რომლებიც უნდათ, რომ შემდეგი არჩევნებისას ყველა ეს საარჩევნო რეფორმა აისახოს. ლიბერალიზმის არსი ამაში მდგომარეობს, რომ რადიკალურ ცვლილებებს ყოველთვის აპროტესტებენ“!

მისი თქმით, ცვლილებები ეტაპობრივად უნდა მოხდეს, რათა დაცული იყოს წონასწორობა, რომ ხალხმა ისიამოვნოს თავისი თავისუფლებებით. ჯოელმა მხარეებს გაერთიანებისკენ მოუწოდა.

„ვთხოვ ყველა მხარეს — მთავრობას, ოპოზიციას, რომ გაერთიანდნენ. შეიძლება, ერთმანეთი არ მოგწონთ, მაგრამ უნდა ილაპარაკოთ, ზუსტად ისევე, როგორც ჩვენ და რუსეთს შეგვიძლია, რომ დავგმოთ ისინი იმ დანაშაულებისთვის, რაც ჩაიდინეს, მაგრამ ასევე ვილაპარაკოთ საკითხებზე, რომლებიც ერთობლივ ინტერესს წარმოადგენს. მაგალითად, იარაღის კონტროლზე და ასე შემდეგ. რუსეთი ახლა აშშ-ს ცდის. საქართველო, გთხოვ, ნუ იქნები ამ ტესტის ნაწილი. ჩვენთან იყავი! ჩვენთან ერთად დარჩი, რომ ჩვენც შენთან ერთად ვიყოთ. სწორედ ასე უნდა მოვიქცეთ!“, — განაცხადა პოლ ჯოელმა.

არის ლობისტური ორგანიზაცია, რომელსაც სააკაშვილი წლების განმავლობაში აფინანსებდა, ქსელი ჯერ კიდევ არსებობს

— მოდით, ვისაუბროთ იმაზე, რატომ აკეთებენ ასეთ განცხადებებს სენატის წევრები, ევროკავშირის წარმომადგენლები და სხვები — იყო ნარატივი, რომელსაც სამწუხაროდ, ძალიან ეფექტურად იყენებდნენ სააკაშვილი და მისი ხალხი, რომ ბიძინა ივანიშვილი და მისი პარტია რუსეთის ქმნილებაა, რადგან ქონება მან რუსეთში იშოვა და მდიდარ ადამიანად იქცა. არიან ადამიანები, ვინც ამის გაგებისთანავე თქვა — ოჰ, აი, რაშია საქმე!.. თუმცა, მე როგორც მესმის, ბატონმა ივანიშვილმა გაყიდა თავისი ქონება რუსეთში და ყურადღება საქართველოზე გაამახვილა. ვიცით, რომ უპირველეს ყოვლისა, ქართველები მეტისმეტად ნაციონალისტები არიან და ის, რომ ქვეყანაში შესაძლოა, ისტორიის ამ ეტაპზე რუსული გავლენა კვლავ გავრცელდეს, ვფიქრობ, ფანტასტიკაა. ეს ხორცის ის ნაჭერია, რომელსაც რუსეთი ნამდვილად ვერ გადაყლაპავს, თუკი ქვეყნის დაკავებას გადაწყვეტს. თუმცა, არის ძალიან კარგად ორგანიზებული და დაფინანსებული ლობისტური ორგანიზაცია, რომელსაც სააკაშვილი წლების განმავლობაში აფინანსებდა და რა თქმა უნდა, არის მრავალწლიანი ურთიერთობის ტრადიციები, რომლებსაც საფუძველი დიდი ხნის წინ, მისი პრეზიდენტობისას, ჯერ კიდევ იმ დროს ჩაეყარა, როდესაც ის აფინანსებდა დასავლელი ექსპერტების ჯგუფს. ეს ქსელი ჯერ კიდევ არსებობს და ისეთივე სამეცნიერო ფანტასტიკას ავრცელებენ, თითქოს, ეს ყველაფერი რუსულია. უბრალოდ, ფაქტებს გადახედეთ. მაგალითად, საქართველოს სამხედრო ძალის განვითარებას, მის კოორდინაციას ნატოსთან, მის წევრებთან მუშაობისას ნახავთ, რამდენად მაღალი დონეა ურთიერთობის და პროფესიონალიზმის, ვიდრე ეს იყო სააკაშვილის დროს, — განაცხადა პოლ ჯოელმა.

როგორც ჯოელმა აღნიშნა, ტყუილია ის, რაც რუსეთის საგარეო დაზღვევის სამსახურის უფროსმა ნარიშკინმა თქვა, თითქოს სააკაშვილმა გააღო კარი, რათა საქართველოში პროდასავლურ ხმას შეეღწია და დასავლურ საზოგადოებასთან უკეთესი ურთიერთობა დაემყარებინა.

„ჩვენ ვნახეთ ნარიშკინის, რუსეთის საგარეო დაზღვევის სამსახურის უფროსის განცხადება საკუთარ გვერდზე. ეს განცხადება იყო საჯარო დემარში აშშ-ის წინააღმდეგ, რათა ის ჩამოშორდეს საქმეებს საქართველოში, რაც ნათელს ხდის, როგორ მანიპულირებს რუსეთის დაზვერვა მიმდინარე მოვლენებით. მან თქვა, რომ სააკაშვილი იყო ის, რომელმაც გააღო კარი, რათა საქართველოში პროდასავლურ ხმას შეეღწია და დასავლურ საზოგადოებასთან უკეთესი ურთიერთობა დაემყარებინა. ეს ტყუილია! პროცესი შევარდნაძემ დაიწყო. მეც იმ პროცესის ნაწილი ვიყავი. ზურაბ ჟვანიასთან ვმუშაობდი, როცა წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა დაიწყო და, როცა „იუ ეიჩ ვან“ ტიპის ვერტმფრენების გადმოცემაზე ურთიერთობა ჰქონდათ შეერთებული შტატების ხელისუფლების სხვადასხვა შტოსთან. ეს გზა მასთან ერთად დაიწყო და არა სააკაშვილთან ერთად. თუმცა, ეს ის ზღაპარია, რომლის მოყოლაც ძალიან უყვარს — ყველაფერი მე, ყველაფერი მე გავაკეთე! საკუთარი უპირატესობისთვის ამ ყველაფრით მანიპულირებენ. ვშიშობ, რომ არსებობენ დასავლური საზოგადოების წევრები, რომლებისთვისაც ეს შეხედულება კვლავ მისაღებია“, — განაცხადა პოლ ჯოელმა.

ნაციონალურ მოძრაობაში მყოფ წყაროებზე დაყრდნობით, ყველას თუ არა, უმრავლესობას უნდოდა, დათანხმებულიყო ევროკავშირის შეთავაზებულ შეთანხმებას, თუმცა სააკაშვილმა თქვა, რომ ეს არ გამოვიდოდა

ევროკავშირმა ოპოზიციას მისცა საშუალება, ეთქვათ — კარგი, მივიღებ ამას ვადამდელი არჩევნების და ასევე, იმ ორი პიროვნების გათავისუფლების პირობის გარეშე!

— მათაც და მთავრობასაც შეთანხმება რომ მიეღოთ, მჯერა, რომ ხელისუფლება იმ ორ ადამიანს გაათავისუფლებდა. თუმცა, პრინციპი, როცა აშანტაჟებ ევროკავშირს და მთავრობას, ისაა, რომ... მათ შეუძლიათ, თქვან, ეს პოლიტიკური დაკავებაა. თუმცა, მე გეტყვით, რომ თუკი საპროტესტო აქციაზე იარაღს ატარებ, ეს დანაშაულია! თან მოდით, ვაღიაროთ, რომ ამ ადამიანს თავისი წარსული აქვს. ასე არაა?! თუკი პარლამენტის წინ პოლიციაზე თავდასხმას აორგანიზებ, ეს დანაშაულია. იმედია, თუკი მოლაპარაკება მიიღწევა, ყველაფერი სხვანაირად გაკეთდება. იმას ვამბობ, რომ მთავარი პრიორიტეტი იმ მანიპულაციის შეჩერება უნდა იყოს, რაც მიმდინარეობს...

„შესაძლოა, ბატონი მელია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარეა, მაგრამ თქვენც იცით, ყველამ იცის საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ, თუ ვინაა რეალურად პარტიის თავმჯდომარე. ეს მიშა სააკაშვილია. ჩემი გაგებით და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“ მყოფ წყაროებზე დაყრდნობით, ყველას თუ არა, უმრავლესობას უნდოდა, დათანხმებულიყვნენ და მიეღოთ ევროკავშირის მიერ შეთავაზებული შეთანხმება. თუმცა, სწორედ სააკაშვილმა თქვა, რომ ეს არ გამოვიდოდა“, — განაცხადა ჯოელმა.

„ნიღბის ტარებაზე თუ აჯარიმებენ ადამიანებს, სულში ჩაფურთხებაზე არ უნდა იყოს ჯარიმა?!“



„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით ცილისწამება სისხლის სამართლის წესით 2004 წლიდან აღარ ისჯება. ცილისწამების მსხვერპლი გახდნენ – პოლიტიკოსები, საზოგადოების ღირსეული წარმომადგენლები, საზოგადოებრივი პირები, ჟურნალისტები. უმრავლეს შემთხვევაში ისინი გამოძიებას მიმართავენ, მაგრამ საქართველოს არ ახსოვს პრეცედენტი, როდესაც ცილისმწამებელი დასჯილიყო.

პარლამენტის წევრი **კახა კახიშვილი** თვლის, რომ ადამიანს ცილისმწამებლური და შეურაცხმყოფელი სიუჟეტის სრულყოფილად გასაჩივრების შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს. დეპუტატის განცხადებით, უნდა დარეგულირდეს თუნდაც ის, რომ ამ თემაზე შეტანილი საჩივრის განხილვა დროში რეგლამენტირებული იყოს.

კახიშვილი სატელევიზიო ეთერებში მასთან დაკავშირებით გაკეთებულ სიუჟეტებს გამოეხმაურა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ პოლიტიკის გამო თავდასხმის ობიექტია. როგორც კახიშვილმა აღნიშნა, ერთ-ერთ არხზე მის სიძესთან დაკავშირებით გასული სიუჟეტის საკადრო ტექსტის გამო, ადამიანს შეიძლება ვიღაც დახვდეს და მოკლას, ამიტომ აინტერესებს, ასეთ შემთხვევაში, ვინ აიღებს პასუხისმგებლობას?

ყველაფერს რეგულაცია სჭირდება. ბოლო პერიოდში ისეთ მდგომარეობაში ვართ, როცა პასუხის გაცემის ქმედითი მექანიზმები არ არის. რამდენიმე ტელევიზიაში გავიდა რაღაც ტიპის სიუჟეტები... ზღვარს გადაცილებულია ასეთი მოქმედებები, – აღშფოთებულია კახა კახიშვილი.

* * *

ვის ხელშია გასაღები, რომ ავირიდოთ ცილისწამება? ექსპერტები თვლიან, რომ გასაღები პარლამენტის ხელშია. **სოსო მანჯავიძის** განცხადებით, დეზინფორმაცია ყველა შემთხვევაში და მით უმეტეს, როცა ეხება სახელმწიფო ინტერესებს, აზიანებს როგორც ქვეყნის, ასევე ადამიანთა ჯგუფების ინტერესებს, რაც დასჯადი უნდა იყოს. ანალიტიკოსის განცხადებით, სხვა საკითხია რამდენად დახვეწილია და მოხერხებულია ქვეყნის კანონმდებლობა, რამდენად აქვს სახელმწიფოს ნება იმისა, რომ არ იყოს ლაქები.

„ეს არის უსაფრთხოების საკითხები, როდესაც მიზანმიმართულად ხდება ეროვნული შუღლის გაღვივება, დეზინფორმაციის გავრცელება პოლიტიკური მიზნებით, საინფორმაციო საშუალებებით დესტაბილიზაციის შემოტანა საზოგადოებაში და ეს, რა თქმა უნდა, უნდა იყოს სპეციალური ორგანოების კვლევის საგანი, უნდა ხდებოდეს პრევენცია. ასეთი რამე ჩვენთან არ ხდება, რაც აზიანებს ქვეყანას, – ამბობს სოსო მანჯავიძე.

როგორც ანალიტიკოსი აცხადებს, გრანდიოზულ მასშტაბებს მიაღწია იმ პათოლოგიამ, რაც დღეს ქვეყანაში ხდება. რა თქმა უნდა, ცილისწამების მიმართ მუხლი არსებობს, მაგრამ მისი თქმით, უნდა გამკაცრდეს და შესაბამისობაში მოვიდეს დროის საჭიროებებთან.

„კანონი უნდა ეთანაბრებოდეს მისი დარღვევის მასშტაბებს. გარდა ამისა, სასჯელი უნდა იყოს ჩადენილი დანაშაულის თანაზომადი. მთელი კასტა გაჩნდა დაუსჯელობისა, შეუძლიათ ნებისმიერი ადამიანი ამოთხვარონ ლაფში. საზოგადოება დაშინდა. მოქმედებს კასტა, რომელსაც შეუძლია ნებისმიერი ადამიანი დაუსჯელად მოკლას. ადრე, ტრადიციულ სამართალში ცილისწამება ორმაგ მკვლელობას უტლდებოდა, სულს და ხორცს კლავდა. ახლა, ეს ორმაგი მკვლელები გამოფენილი არიან ამ ე.წ. სადეზინფორმაციო ტელევიზიებში. ტალახში სვრიან ყველას, ვის მიმართაც პოლიტიკური შეკვეთა აქვთ. ეს არის ყოვლად მოუთმენელი სიტუაცია. სწორედ ამიტომ მქონდა დაპირისპირება ცნობილ ცილისმწამებელთან, რომელიც ხან ერთს ეძახდა მექრთამეს და ხან მეორეს. გასაგები იყო, რომ ასრულებდა პოლიტიკურ დაკვეთას. ეს იყო კლასიკური მაგალითი იმისა, რითაც ავად არის ჩვენი საზოგადოება“...

* * *

ყოფილი პარლამენტარი **ხათუნა ხოფერია** ამბობს, რომ ისევე, როგორც მთელს მსოფლიოში, საქართველოშიც ცილისწამება დღევანდელობის რეალობად იქცა. **„თავისუფალმა“ მედიასაშუალებებმა ისეთი ვითარება შექმნა, რომ თვითონ ამერიკის პრეზიდენტის არჩევის პროცესი იყო ბრალდებების ომი. ძალიან ჭუჭყიანი პროცესი იყო.**

„ანალოგიური პროცესებია ჩვენთან. საქართველოს ყველაზე დიდმა მტრებმა, ამ ოპოზიციურმა დაჯგუფებამ, ეს მიმართულება ძალიან კარგად გამოიყენეს, ჯერ იმით, რომ პირადი ცხოვრების ამსახველ კადრებს წერდნენ და ადამიანებს ამითი აშანტაჟებდნენ, რომ მათ ცხოვრებაში ერეოდნენ. ხვდებით, ეს რამხელა ტრავმა იყო? ამის შემდეგ, პირდაპირი ეთერიდან დაიწყეს შეურაცხყოფები! ბრალდების საოცარი ნიაღვარი მოდიოდა ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ.

ეს არ ყოფილა წამოცდენა, ეს იყო წინასწარ დამუშავებული გეგმა. გავიხსენოთ „მოდელირებული ქრონიკა“, ეს არ იყო უბრალოდ გაკეთებული. ამით დამახინჯებული ინფორმაციის, ჭორის, ბრალდების გატესტვა გააკეთეს, როგორ შეიძლებოდა ამას მასებზე ემოქმედა. ამის გაგრძელებაა, რაც დღეს ხდება. როგორც კი მათ კედელთან მიაყენებ, იწყებენ წერტილოვან თავდასხმას. პირდაპირ გადადიან შეურაცხყოფებზე და ბრალდებებზე. სხვათა შორის ეს კარგად აითვისა „ქართულმა ოცნებამ“, – აცხადებს ხათუნა ხოფერია.

– სახელმწიფომ რაღაცა უნდა გააკეთოს. ამ პარლამენტში კვატებივით რომ სხედან, კეთილი ინებონ და იფიქრონ ჯარიმებზე. ელემენტარულია, შენ რომ ჩემზე რაღაცა თქვი, მე უნდა მქონდეს იმის საშუალება, მივმართო პოლიციას, პროკურატურას. ჟურნალისტი ნინო ჯღარკავა წლებია საშინელი ცილისწამების და თავდასხმების მსხვერპლია. ბევრჯერ შეიტანა სარჩელი პროკურატურაში, მაგრამ არაფერი, დღემდე არავინ არ დასჯილა და დღემდე გრძელდება თავდასხმა. უკაცრავად, ასე არ არის ეს ცხოვრება, შენ რომ სახელმწიფო ხარ, შენ ეს ყველაფერი ჩემთთან ერთად უნდა დაიცვა.

მე თუ საქართველოს მოქალაქე ვარ, ვთვლი, რომ უნდა ვიყო აქტიური და ჩემი სახელმწიფოს სადარაჯოზე ვიდგე ჩემი ქცევით და პოზიციით. მაგრამ შენ რომ სახელმწიფო ხარ, უნდა დამიცვა ამ ვიგინდარებისგან, რომლებსაც შეუძლიათ დაჭრან ჩემი სული. თუ ვერ მიცავ, მაშინ შენ სახელმწიფო არ ხარ. ნიღბის ტარებაზე თუ აჯარიმებენ ადამიანებს, სულში ჩაფურთხებაზე არ უნდა იყოს ჯარიმა? კეთილი ინებონ და მოიფიქრონ რაღაცა ფორმა, საჯარიმო სანქციები“, – აღნიშნა ხათუნა ხოფერიამ.

საერთო ჯამში საქართველოს გენერალურ პროკურატურაში 8 სარჩელი აქვს შეტანილი **ნინო ჯღარკავას**. ჟურნალისტმა 7 სარჩელი ვინმე ელისო კილაძის და ერთი სარჩელი ჟურნალისტ ეკა კვესიტაძის წინააღმდეგ შეიტანა, მაგრამ არც ერთ სარჩელზე რეაგირება ამ დრომდე არ ყოფილა.

* * *

„ცილისწამებას პირდაპირ ვათანაბრებ მკვლელობასთან, რადგან ადამიანი შეგიძლია სიტყვით მოკლა. ეს რომ საკუთარ თავზე გამოვცადე, მზად ვიყავი ჩამედინა დანაშაული. ძლივს ვძლიე საკუთარ თავს და, რა თქმა უნდა, კანონსაწინააღმდეგო ქმედება არ გავაკეთე, მაგრამ ზღვარზე ვიყავი, როდესაც ეს შეეხო ჩემს ოჯახს, შვილს, დედას, ძმას. ეს ხორციელდებოდა ერთ-ერთი ვითომ „კოლეგის“ ელისო კილაძის მიერ, რომელსაც არა აქვს ზღვარი, მას ყველაფერი „ეპატიება“.**

8 წელია ყოველდღიურ რეჟიმში ვიღებ ცილისწამებას ამ ქალბატონისგან. მივმართე პოლიციას, პროკურატურას, არაერთგზის, მაგრამ ვიღებდი პასუხს – მიმართე სასამართლოს. სამოქალაქო სარჩელი კი ისეთია, რომ წლობით დევს, არ აქვს ვადა, შეიძლება ხუთი წლის შემდეგ განიხილონ, როცა დავიწყებული აქვს ყველას ყველაფერი. ამიტომ, არაფერი ბერკეტი ცილისწამებაზე არ არის.

მე სულ ვამბობ, რომ ცილისწამება უნდა იყოს სისხლის სამართლის დანაშაულად ცნობილი და უნდა იყოს სასჯელი. სააკაშვილმა ამოიღო ეს მუხლი, არც ამ პარლამენტს მოუკლავს თავი, მიუხედავად იმისა, რომ პირადად ყველა დეპუტატს ვწერდი, რომ მიეღოთ ეს მუხლი, მაგრამ რატომღაც ყველა ჯერზე იბლოკება ჩვენი გამოძახილი“, – ამბობს ნინო ჯღარკავა.

* * *

ფსიქოლოგისა და პოლიტოლოგის **რამაზ საყვარელიძის** ინიციატივით, რომელიც წარსულში პარლამენტში მედიასთან ურთიერთობის კომიტეტს ხელმძღვანელობდა, დაიწყო პრესის კანონზე მუშაობა. როგორც თავად განმარტავს, მაშინ მას თავად ჟურნალისტები დაუპირისპირდნენ, ხოლო მეორე მხრივ **გიგა ბოკერია** და **ლევან რამიშვილი**, რომელთაც მიაჩნდათ, რომ მედიას სრული თავისუფლება უნდა ჰქონოდა.

„მათ ზურაბ ჟვანიასთან ჰქონდათ კავშირი და იზრუნეს, რომ არ ვყოფილიყავი შემდეგი მოწვევის პარლამენტში, რომ არ გამეგრძელებინა ამ კანონზე მუშაობა. მერე მათ შეიმუშავეს 2-გვერდიანი დოკუმენტი, სადაც ეწერა, რომ პრესა თავისუფალია. ერთ-ერთი მთავარი პრინციპი იყო, რომ მედიას უნდა ჰქონოდა გრძელი ხელები, მათ შეეძლოთ ბრალდების წაყენება, მაგრამ მედიასგან პასუხის მოთხოვნა არავის არ უნდა შეძლებოდა. მედია უნდა ქცეულიყო გარკვეულ სამხედრო დანაყოფად, რომელიც დაცული იქნებოდა შეტევისგან. ასეთ სამხედრო დანაყოფად იქცა მედია და მოხდა კიდეც „ვარდების რევოლუცია“.

იგივე კანონმდებლობის ფონზე ვაგრძელებთ არსებობას, მაშინ როდესაც მსოფლიო არ მიდის ამ გზით. დასავლეთში ცილისწამებაზე ჯარიმები იმდენად დიდია, რომ მასმედია დაინტერესებულია, არ დაარღვიოს კანონი. ასეთია დასავლური სინამდვილე. ფულადი სასჯელით ებრძვიან ცრუ ბრალდებებს, ოღონდ ებრძვიან მძაფრად“, – ამბობს რამაზ საყვარელიძე.

პოლიტოლოგი ამბობს, რომ ჩვენ ამ კუთხით ევროპული სახელმწიფო ნამდვილად არ ვართ და აუცილებელია ქვეყანაში მოქმედებდეს მუხლი ცილისწამების შესახებ, თუმცა არც ის უკვირს, რატომ არ ფიქრობს პარლამენტი ამ მუხლის ამოქმედებაზე.

„ეშინიათ. მე რომ კანონზე ვმუშაობდი, ჟურნალისტები ამიჯანყდენ. გაზეთმა „რეზონანსმა“, რომლის მესაკუთრე მაშინ მალხაზ რამიშვილი იყო, ხოლო რედაქტორი ლაშა ტუღუში, სულ ჰებელსი მეძახა საჯაროდ. კანონი ჯერ ჟურნალისტებთან მივიტანე, სწორედ იმიტომ, რომ მათი მხარდაჭერა მქონოდა, მაგრამ ასე საჭირო კანონი ამათ ამიყირავეს. აი, ამისი ეშინიათ დღესაც. პრესასთან დაპირისპირება არავის არ უნდა, პრესა ეგრევე იწყებს ცილისწამებას. ამიტომ პრესის კანონის მიღებას ყველა ერიდებოდა“, – აცხადებს for.ge-სთან საუბრისას რამაზ საყვარელიძე.

ჩაიწერა
თამთა ძარჩავამ

„ქართული დასის“ ლიდერი ამბობს, რომ აზერბაიჯანთან საზღვრების შეთანხმება რომ უკანონოდ მოხდა, მისთვის ცნობილი წლების წინ იყო და სწორედ ამიტომ 2012 წელს პრეზიდენტ სააკაშვილის იმპიჩმენტს ითხოვდა პარლამენტში.

ჯონდი ბაღათურია, რომელიც გენერალურმა პროკურატურამ დავითგარეჯას საქმეზე გამოკითხა, აცხადებს, რომ კრიმინალურმა ბანდამ თავის დროზე ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული – ღია სახელმწიფო ღალატი და მათი „მესიჯბოქსი“ იყო ერთი და იგივე. 2012 წელს, როდესაც აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა მოულოდნელად გადმოლახეს საზღვარი და დადგნენ საქართველოს ტერიტორიაზე, მიხეილ სააკაშვილმა ქვეყანა დატოვა და მოსავაჭრებლად იტალიაში წავიდა.

ჯონდი ბაღათურია:

თუ მელაშვილსა და ილიჩოვას გვერდით არ მოუსვეს მაღალი თანამდებობის პირები, გამოდის, „ოცნებამაც“ დათმო!

– 2012 წელს პარლამენტის სხდომაზე სახელმწიფო ღალატის გამო დასვით პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი, სახელმწიფო ღალატში დასდეთ ბრალი მიხეილ სააკაშვილს. რა ინფორმაციის მატარებელი ხართ დავითგარეჯას გასხვისების საქმეზე და რა სტატუსით გამოგკითხათ გენერალურმა პროკურატურამ მიმდინარე გამოძიების საქმეზე?

– გამოძიების დაინტერესება გამოიწვია ჩემმა საპარლამენტო გამოსვლამ, როცა ბრალი დავდე საქართველოს პრეზიდენტს სახელმწიფო ღალატში, რომელიც გულისხმობდა დავითგარეჯას ტერიტორიის აზერბაიჯანის სასარგებლოდ დათმობას პირადი და ფინანსური ინტერესების სანაცვლოდ, რამაც გამოიწვია შემდგომში დებატები და თავდასხმა ჩემზე მაშინდელი უმრავლესობის მხრიდან. პრაქტიკულად, რა მუხლით არის საქმე აღძრული, ბრალის ძირითადი მდგენელი არის ჩემი მაშინდელი გამოსვლა და იმპიჩმენტის პროცედურის დაწყების განმარტებითი ნაწილი. ბრალი არის აბსოლუტურად გამართული, დასაბუთებული.

2012 წელს პარლამენტის სხდომაზე გამოვედი და სახელმწიფო ღალატის გამო დავსვი პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი. მაშინ ყველა ერთსა და იმავეს მპასუხობდა, რომ, თითქოს, მე ვცდებოდი, ამბობდნენ, რომ დავითგარეჯას მიმდებარედ საზღვარი ქედზე გადიოდა და არა ქედის ქვემოთ. ქედს ქვემოთ როდესაც გადიოდა საზღვარი, ჩიჩხიტურისა და უდაბნოს მონასტერი საქართველოს ტერიტორიაზე ექცეოდა. ქედზე როცა ამოიწია, მონასტრის ეს მნიშვნელოვანი ტერიტორია აზერბაიჯანის მხარეს აღმოჩნდა.

– რის საფუძველზე დასდეთ მაშინ ბრალი სააკაშვილს, რა ინფორმაციას ფლობდით?

– ჩვენ ვფლობდით სანდო ინფორმაციას, ნაწილობრივ შეგვეძლო არგუმენტები და მტკიცებულებები წარმოგვედგინა, რომ პრეზიდენტმა და მისმა გუნდმა, მაშინდელმა უმაღლესი თანამდებობის პირებმა, მათ შორის მაშინდელი პარლამენტის სპიკერატმა, საგარეო საქმეთა სამინისტრომ ჩაიდინეს ღალატი. ბრალდება მდგომარეობდა იმაში, რომ ფინანსური ინტერესების სანაცვლოდ ცდილობდნენ დავითგარეჯას გადაცემას აზერბაიჯანისთვის. ამაში მდგომარეობდა ბრალი.

– პარლამენტის სპიკერატი და საგარეო საქმეთა სამინისტრო ახსენეთ, კონკრეტულად ვის გულისხმობთ?

– საგარეო საქმეთა მაშინდელი მინისტრის გელა ბეჟუაშვილის განცხადებები იყო, რომელიც ძალიან სერიოზულ ეჭვებს აღძრავდა, ძალიან აშკარა ეჭვის აღმძვრელი იყო მაშინდელი პრემიერ-მინისტრის წერილი აზერბაიჯანის პრეზიდენტისადმი. ასევე ძალიან სამარცხვინო იყო საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ნინო კალანდაძის განცხადება, რომელიც პირდაპირ მიმტკიცებდა, რომ ეს ტერიტორია აზერბაიჯანის არისო. ყველაფერი ეს იმით დაიწყო, რომ მოულოდნელად, აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა დატოვეს თავისი კუთვნილი დისლოკაციის ადგილი, ამოვიდნენ ქედზე და დადგნენ უკვე საქართველოს ტერიტორიაზე და თავის საზღვრებში მოაქციეს ჩიჩხიტური და უდაბნოს მონასტერი. პრეზიდენტი და მისი გუნდი კი მიმტკიცებდა, რომ ეს ყოველთვის აზერბაიჯანის ტერიტორია იყო. ყველას ჰქონდა ერთი და იგივე პოზიცია, მაგალითად, ჩემს კოლეგა დარჩიაშვილსაც.

– ფინანსური ინტერესები ახსენეთ, რას გულისხმობთ? სტრატეგიული ინტერესები ფინანსური ინტერესების სანაცვლოდ დათმეს?

– 2007 წელს სააკაშვილმა დაავალა მთავრობას და დემარკაცია-დემილიტარიზაციის საკითხზე მომუშავე კომისიას, რომ საზღვარი აზერბაიჯანისა და საქართველოს შეუთანხმებელ მონაკვეთებზე, მათ შორის დავითგარეჯას მონაკვეთზე, რაც ახლა ჩვენი მთავარი დაინტერესების ადგილია, გასულიყო ქედზე! პირდაპირ თვითონ დაავალა. სააკაშვილისთვის დავითგარეჯას მონასტერი, როგორც სიწმინდე არ არსებობს, იმიტომ, რომ თვითონ არის მატყუარა, ურჯულო, უშუბლძარღვო.

„მთავარსარდალმა“ პრეზიდენტმა, ასე ერქვა მაშინ, პირდაპირ დაავალა სტრატეგიული სიმაღლის დათმობა, რომელსაც გაბატონებულ სიმაღლეს ეძახიან სამხედროები, რაც ნიშნავს, რომ თუ მოწინააღმდეგე მხარეს არტილერიის განლაგების უფლება მიეცემა, ის თავისი საცეცხლე წერტილების ძალიან დიდ პერიმეტრს გააკონტროლებს. ეს ორმაგი ღალატია.

გასაგებია, რომ ურჯულოა და დავითგარეჯი მისთვის სიწმინდე არ იყო, რაღაცა რიგით ტერიტორიად მიაჩნდა, მაგრამ როდესაც ქვეყნის პრეზიდენტი პირდაპირ აცხადებს, რომ მეზობელი ქვეყნის პრეზიდენტი, ანუ იმ ქვეყნის მთავარსარდალი მას ეუბნება, რომ მისთვის ამ ტერიტორიას სამხედრო მნიშვნელობა აქვს, ე.ი. ვისთვის აქვს სამხედრო მნიშვნელობა? გამოდის, რომ საქართველოს წინააღმდეგ აქვს, თუ, რა თქმა უნდა, მართლა უთხრა ალიევმა... ამ სტრატეგიულ სიმაღლეს რომ დათმობს პრეზიდენტი და დაავალებს თავის გუნდს, რომ ისე გაავლონ საზღვარი, სტრატეგიული სიმაღლეები აზერბაიჯანულ მხარეს მოხვდეს, ამას ღალატის გარდა სხვა რამე ჰქვია?!

რაც შეეხება ფინანსურ თემას – პროკურატურა მუშაობს ამაზე. პირდაპირ გეტყვით, რომ პროკურატურას აქვს ყველა მასალა, ყველა მტკიცებულება, რომ ივერი მელაშვილი და ნატალია ილიჩოვა მოქმედებდნენ მაშინდელი პრეზიდენტის დავალებით. პირდაპირ გეუბნებით, რომ ეს იყო ჯგუფური დანაშაული – სახელმწიფო ღალატი პირადი ფინანსური დაინტერესების მოტივით.

თქვენ „სოკარი“ ახსენეთ, „სოკარში“ სააკაშვილის გარემოცვის მაშინდელი ძალიან მაღალი თანამდებობის პირები დღემდე მუშაობენ და აკონტროლებენ ფინანსურ ნაკადებს. ამის შესახებ ინფორმაცია აქვს, ვისაც უნდა ჰქონდეს. თუ ეს ყველაფერი არ გაირკვა და მელაშვილი და ილიჩოვა არ შეაბრუნეს უკან,

ასევე გვერდით არ მოუსვეს მაღალი თანამდებობის პირები, ვის დავალებასაც ისინი ასრულებდნენ, მაშინ გამოდის, რომ ამათმაც დათმეს და რაღაცა გარიგებაში შევიდნენ.

– ილიჩოვა და მელაშვილი ახსენეთ, პეტრე მამრაძე მიმტკიცებდა, რომ მათ მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი არ არსებობს, ეს მაშინ, როცა 2007 წელს სწორედ მელაშვილის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის საფუძველზე გამოჩნდნენ იქ აზერბაიჯანელი მესაზღვრეები და დღემდე ეს სურათი გვაქვს. გასაგებია, რომ სააკაშვილთან შეუთანხმებლად ვერ იმოქმედებდნენ, მაგრამ მათ ჩაიდინეს დანაშაული, რაც გამოძიების მასალებით დასტურდება...

– ილიჩოვა და მელაშვილი ბრალდებული არიან ზემდგომი პირების მხრიდან დანაშაულებრივი დავალების შესრულებაში, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ მათ გადამალეს ის დოკუმენტური მასალები, რომლითაც ჩანდა, რომ დავითგარეჯას ის ნაწილი, რომელზეც ახლა აზერბაიჯანი დავობს და სრულიად უკანონოდ აქვს მოქცეული თავის იურისდიქციაში, არის საქართველოს კუთვნილება. მაგრამ ისინი არ მოქმედებდნენ თავისი ნებით, მოქმედებდნენ ზემდგომი პირების დავალებით.

რაც შეეხება მამრაძის განცხადებას, ნაწილობრივ სწორად განმარტა, მათ არაფერ დოკუმენტზე ხელი მოწერილი არ აქვთ, მაგრამ არსებობს მათ მიერ ხელმოწერილი ქაღალდი, ეს არის ტექნიკური ჯგუფის მიერ ხელმოწერილი ქაღალდი, რითაც ისინი ცდილობდნენ დანაშაულებრივი დავალების შესრულებას, რომელიც მათ მიიღეს ზემდგომი თანამდებობის პირებისგან.

რაც შეეხება მათ დადანაშაულებას, რა თქმა უნდა, დამნაშავეები არიან. ისინი მიზანმიმართულად ცდილობდნენ და დანაშაულებრივად მოქმედებდნენ იმ მიზნით, რომ დავითგარეჯას მნიშვნელოვანი ნაწილი გადაეცათ აზერბაიჯანისთვის. ასე რომ, სრულიად სამარცხვინოა მათი პოლიტიკურ პატიმრად გამოცხადება, მათ აუცილებლად უნდა აგონ პასუხი. ერთადერთი იმ შემთხვევაში შეიძლება ფიქრი სასჯელის შემსუბუქებაზე, თუ ხელს დაადებენ იმ პირებს, ვის დავალებასაც ასრულებდნენ.

– გაქვთ მოლოდინი, რომ პროკურატურა სააკაშვილს ბრალს წაუყენებს სამშობლოს ღალატში?

– ძნელი სათქმელია. ჩვენ ვხედავთ, რომ უგულავას დაუმტკიცეს 50 მილიონის ქურდობა და გამოუშვეს. პროკურატურას აქვს ყველა მასალა, ყველა მტკიცებულება და არა მარტო მელაშვილი–ილიჩოვას ბრალის დამადატურებელი, არამედ იმის მტკიცებულება, რომ ისინი ასრულდებდნენ სააკაშვილის და საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამდებობის პირების დავალებას. რამდენად იზამს ამას პროკურატურა, ეს არ ვიცი. სხვათა შორის „ქართული ოცნების“ მიერ დანიშნული პროკურორებიდან, შოთაძე ერთ-ერთი ყველაზე გაბედული გენერალური პროკურორი აღმოჩნდა, ყველაზე მეტი სისხლის სამართლის საქმე მან აღძრა. შესაძლოა, ამ კაცმა ეს საქმე ბოლომდე მიიყვანოს. წინასწარ ვერაფერს გეტყვით.

ესაუბრა
თამთა ქარჩავა

„ყავარჯნების სამარე“



10-წლიანი ლოდინის შემდეგ კურორტი მენჯი 3,5 მილიონ ლარად იყიდება!

სახელმწიფო პროგრამა „100 საინვესტიციო შეთავაზება ბიზნესს“ ფარგლებში, სენაკში, ბალნეოლოგიურ კურორტ მენჯში მდებარე ყოფილი სანატორიუმი იყიდება. მისი გასაყიდი ფასი 3,5 მილიონი ლარია. „კომერსანტი“ სენაკის მუნიციპალიტეტს დაუკავშირდა, სადაც აღნიშნავენ, რომ კურორტ მენჯის რეაბილიტაცია კოლოსალურ სამუშაოებს საჭიროებს, თუმცა აღდგენის შემთხვევაში შესაძლოა ის წლის პროექტად იქცეს.

„დაინტერესება ამ კურორტის მიმართ აქამდეც ყოფილა, ჩინელი ინვესტორები იყვნენ ჩამოსულები, მაგრამ შეხვედრა შეხვედრისთვის გაიმართა — მოვიდნენ, დაათვალიერეს, მაგრამ პროექტი მხოლოდ იდეად დარჩა. ახლა უფრო არის მოლოდინი, რომ იმ მნიშვნელობის და დატვირთვის კურორტი, როგორიც მენჯი იყო, ახალ სიცოცხლეს შეიძენს და ეს იქნება ძალიან დიდი ძვრა ტურისტული განვითარების თვალსაზრისით. ახლა უფროა იმის იმედი, რომ იქნებ რაღაც სასიკეთო ნაბიჯების გადადგმა დაიწყოს. აქ არის უნიკალური გარემო და სამკურნალო წყლები. ახლა ძალიან დიდ და ფართომასშტაბიან სამუშაოებს საჭიროებს ეს ადგილი, ყველაფერი ახლიდან უნდა დაიწყოს და ეს საკმაოდ დიდ თანხებთანაა დაკავშირებული, თუმცა გამოვა წლის პროექტი,“ — განმარტავენ სენაკის მუნიციალიტეტის მერიაში.

სენაკის მაშინდელი გამგებელი გოჩა დგებუაძე „კომერსანტთან“ ჯერ კიდევ 2014 წლიდან აცხადებდა, რომ მენჯის რეაბილიტაციით ჩინელი ინვესტორები რეალურად იყვნენ დაინტერესებული, უფრო მეტიც, ჩინელებთან მაშინ მემორანდუმიც კი იყო გაფორმებული. საუბარი იყო მასშტაბურ დასასვენებელ პროექტზე, რაც შეეხება სხვა ინვესტორების კურორტით დაინტერესებას, დგებუაძე აცხადებდა, რომ პერიოდულად ინტერესდებოდნენ სხვადასხვა ქვეყნის ინვესტორები, მათ შორის, თურქები. თუმცა ამ მიმართულებით რეალური შედეგი არ მიუღიათ.

შეგახსენებთ, მენჯის ბალნეოლოგიური კურორტის რეაბილიტაციის პირობა ბიძინა ივანიშვილმა ჯერ კიდევ 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე დადო. მას შემდეგ ითქვა, რომ კურორტის რეაბილიტაციით რუსი ინვესტორები დაინტერესდნენ, თუმცა თვეების განმავლობაში წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მათ კონკრეტული პროექტი ვერ წარმოადგინეს, ამიტომ ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ მათთან კონტაქტი გაწყვიტა და ახალი ინვესტორის ძიება დაიწყო. შედეგად, კურორტით ჩინელი ინვესტორები დაინტერესდნენ.

რაც შეეხება პროექტის შინაარსს, 2015 წელს გოჩა დგებუაძე აცხადებდა, რომ იგეგმებოდა ფაქტობრივად ახალი ქალაქის აშენება.

ხალხური თქმულების მიხედვით „მენჯი“ მეგრული სიტყვაა და მჟავე წყალს ნიშნავს. სამკურნალო წყლებით ცნობილ ადგილებს სამეგრელოში ადრე ასე მოიხსნიებდნენ — მენჯი სქური, მენჯი ლუგელა, მენჯი ლებარდე“. სენაკის მუნიციპალიტეტში მდებარე სამკურნალო მინერალური წყლით ცნობილ ბალნეოლოგიურ კურორტსაც ალბათ ამიტომ ეწოდა მენჯი. სასწაულმოქმედი თვისებების გამო ხალხმა კურორტს მეორე სახელიც შეარქვა — „ყავარჯნების სამარე“. კურორტის სამკურნალო პოტენციალის ათვისება დაახლოებით XX ს-ის 20-30-იანი წლებიდან დაიწყო. ცნობილმა ლატვიელმა მეცნიერმა რობერტს კუპცისმა, საქართველოში მინერალური წყლების მეცნიერულ შესწავლას დიდი ამაგი დასდო, მან წყლის სამკურნალო თვისებები გამოიკვლია და მენჯს საქართველოს მაცესტა უწოდა. 1938 წელს მენჯი რესპუბლიკური მნიშვნელობის კურორტად გამოცხადდა და იქ შესაბამისი ინფრასტრუქტურული მშენებლობა დაიწყო. აშენდა კეთილმოწყობილი სანატორიუმი, რკინიგზის საავადმყოფო, საკურორტო პოლიკლინიკა. საკურორტო სეზონი მთელი წლის განმავლობაში უწყვეტად გრძელდებოდა.

geotimes.ge — ინფორმსციით, კურორტ მენჯში რამდენიმე სამკურნალო ჭაბურღილი არსებობდა (თვალის წყალი, კუჭის წყალი, სილამაზის წყალი, სახსრების წყალი), დღეს კი 21-ე საუკუნეში, მხოლოდ 24-ე ჭაბურღილი ფუნქციონირებს, რომელიც ადგილობრივმა მცხოვრებლებმა აღმოაჩინეს და პატრონობენ. წყალს იყენებენ აბაზანებისთვის სახსრების, პერიფერიული ნერვული სისტემის, გინეკოლოგიური და გულსისძარღვთა სისტემის ზოგიერთი დაავადების დროს.

მენჯის მინერალური წყალი ეკუთვნის ძვირფას გოგირდწყალბადოვან ქლორნატრიუმიან მინერალურ წყალს, რომელიც შეიცავს გაზს. ამასთანავე, გოგირდწყალბადს, რომლიც 1 ლიტრ წყალში სრულიად საკმარისია სამკურნალოდ. მინერალური წყლის აბაზანის მიღების დროს მოქმედებს ორგანიზმზე მთელი თავისი ფსიქო - ქიმიური შემადგენლობით. მენჯის შემთხვევაში მოქმედებს გოგირდწყალბადი. პირველი აბაზანა ინიშნება მოკლე ხანგრძლივობით 5-8 წუთი, შემდეგ ხანგრძლივობა იზრდება 22 წუთით და ა.შ. აბაზანის ხანგრძლივობა დამოკიდებულია დაავადების ხასიათზე. საშუალოდ თითო კურსზე ითვლება 12-15 აბაზანა. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე წყლის ტემპერატურას, ის არ უნდა აღემატებოდეს 37c.

კურორტი, რომელიც თავის დროზე 1500-დან 2000-მდე დამსვენებელს იღებდა, დღეს დანგრეულია, ხოლო თვალის, კუჭისა და სახსრების უებარი წამალი მდინარე ცივში ჩაედინება. ეს კურორტი იყო საკავშირო მნიშვნელობის და ითვლებოდა ჯანმრთელობის სამინისტროს კურორტად.

მარიამ მორგოშია

გუდაურში ისრაელიდან ჩამოსული ტურისტების მზარდი აქტიურობა შეინიშნება

2020 წლის ზამთრის სეზონი მთის კურორტებისთვის ერთი თვეა, რაც გაიხსნა და 15 აპრილამდე გაგრძელდება. ადგილობრივ სასტუმროებში დატვირთულობა 50 პროცენტით შეინიშნება, როგორც სასტუმრო „მარკო პოლოში“ განმარტავენ, კურორტს უჩვეულოდ დიდი რაოდენობით დამსვენებელი ისრაელიდან სტუმრობს, რაც ამ ქვეყანაში ვაქცინაციის წარმატებული პროცესით აიხსნება.

„მარტის თვეში მეტ-ნაკლებად გამართლდა ის მოლოდინი, რაც გვქონდა. პირველი კვირა შოკი გვქონდა, რადგან ყველა ამოვიდა გუდაურში, შემდეგ ასე თუ ისე დარეგულირდა. იყვნენ მცირე რაოდენობით ტურისტები სპარსეთის ყურის ქვეყნებიდან და უკრაინიდან. აპრილში ჯერჯერობით კიდევ არის მოსალოდნელი აქტიურობა, რადგან თოვლი არის გუდაურში. მერე უკვე არაფერი საიმედო არ გვაქვს..

ძირითადად ისრაელი აქტიურობს უფრო იქიდან გამომდინარე, რომ ვაქცინაციის პროცესი იქ აქტიურად მიმდინარეობს.

ამ შემთხვევაში, ზამთრის სეზონი ვერ შეინახავს დანარჩენ თვეებს , როგორც წინა წლებში და უფრო ცუდი სურათი გვექნება. ადრე ამ პერიოდში მთელი ზაფხული დაჯავშნილი იყო, ახლა მხოლოდ რამდენიმე ჯავშანია. ევროპელი ტურისტი, როგორც იცით, ზაფხულში ნაკლებად მოსალოდნელია,“ — განმარტავს სასტუმრო მარკო პოლოს წარმომადგენელი **გვანცა მირზაშვილი.**

აქტიურობა მხოლოდ შაბათ დღეს არის , ისიც 50 პროცენტით. კვირას საღამოს ისევ თავისუფლდება გუდაური. სეზონმა ისე ჩაიარა, განსაკუთრებულს არაფერს ველოდით.. თოვლი არის, ტრასები მოვლილია და ინფრასტრუქტურაც, თუმცა დამსვენებლები მოდიან და არა ტურისტები. მხოლოდ კომუნალურ ხარჯებსაც ვერ ფარავს ეს შემოსავალი, თუმცა სეზონის გახსნა მაინც ღირდა. დიდი იმედი მაქვს, რომ ზაფხულში იქნება აქტიურობა ტურისტებისგან. ზაფხულის სეზონზე წინა წლებში მუშაობა იყო. ახლა ფრენების აღდგენაზეა დამოკიდებული...

ხალხი ლომბარდებსა და მევახშეების ფულზე გახდა დამოკიდებული!

პანდემიის გამო მოსახლეობის შემოსავლებში დიდი კლებაა. ზუსტი მაჩვენებელი, თუ რამდენი ლარით შეუმცირდა შინამეურნეობებს შემოსავალი, უცნობია. ცხადია, ფულადი სახსრების დეფიციტი იწვევს ვალებზე დამოკიდებულების ზრდას. ხალხი, ძირითადად, ლომბარდებსა და მევახშეების ფულზე, ანუ მაღალპროცენტიან სესხზე ხდება დამოკიდებული.

ეკონომისტების ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ კლება, საშუალოდ, 130 ლარის ფარგლებშია, თუმცა ნაწილი ამ მოსაზრებას არ ეთანხმება და აცხადებს, რომ გასაშუალებული მაჩვენებელი გაცილებით მაღალია.

ცნობილი სტატისტიკოსი **სოსო არჩვაძე** კლების დინამიკას ადასტურებს და მდგომარეობის გამოსწორებას მხოლოდ მომავალი წლიდან ელოდება.

„როდესაც ქვეყნის ეკონომიკა მცირდება, მოსახლეობის მოხმარებაც შემცირებულია. პირადი მოხმარება — ეს არის ინვესტიციები, სამთავრობო ხარჯი და ექსპორტ-იმპორტის სალდოც. ბუნებრივია, რომ მშპ-ს შემცირება მოსახლეობის მოხმარების კლებასაც იწვევს. კლება კი საშუალოდ 6-8%-ის ფარგლებშია. გაცილებით მაღალი მაჩვენებლითაა იმ ოჯახებისთვის, რომლის წევრებმა სამსახური დაკარგეს ან ნაკლებად ანაზღაურებად სამუშეობზე დასაქმდნენ. 8%-იანი ვარდნის შემთხვევაში, შემოსავლების კლება საშუალოდ 130 ლარის ოდენობითაა.

პანდემია თუ არ გამწვავდა და მესამე ტალღა არ დაგვატყდება თავს, მომავალი წლიდან შეიძლება მდგომარეობა შეიცვალოს. ეკონომიკური მაჩვენებლები გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე იანვარში და ამ ტენდენციას შევინარჩუნებთ“, — განუცხადა არჩვაძემ.

სავალალო რეალობის გამო ქვეყანაში იზრდება სიღარიბის მიღმა მყოფი ადამიანების რიცხვი. ნახტომისებური სიძვირის გამო უკვე მოსახლეობის უდიდესი ნაწილი არასრულფასოვნად იკვებება.

„ცხადია, პანდემიამ უმძიმესი დარტყმა მიაყენა ეკონომიკას. უპირველეს ყოვლისა, დასაქმებას და ხალხს წაერთვა არსებობისათვის აუცილებელი საშუალებები. სიღარიბის დონე ქვეყანაში ერთმნიშვ.ნელოვნად გაზრდილია. ქვეყნის მოსახლეობის მინიმუმ 75% არასრულფასოვნად იკვებება. ეს გავლენას ახდენს განსაკუთრებით ბავშვებზე, მეძუძურ დედებზე და სხვა მოწყვლად ჯგუფებზე“, — განაცხადა პროფესორმა **პაატა კოღუაშვილმა.**

საფრთხე ემუქრება როგორც რიგით მოქალაქეებს, ასევე მცირე ბიზნესსაც, რომელიც შეიძლება მომავალში უფრო ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდეს. ბიზნესი ცდილობს, დანაკარგი ფასნამატით დააკომპენსიროს, მაგრამ საყოველთაო გაჭირვების პირობებში, ცხადია, ფასების ზრდა არ არის გამოსავალი, რადგან შემოსავლების კლების ფონზე მოსახლეობა ვერ ყიდულობს პროდუქტს, ამიტომ რეალიზაციის პრობლემაცაა.

„ცუდ მდგომარეობაშია როგორც მოსახლეობა, ისე ბიზნესი. ამიტომ დიდი საფრთხეა, რომ სესხებზე დამოკიდებულება გაიზარდოს, თუმცა, სამწუხაროდ, სესხის აღების არეალიც არის შეზღუდული რეგულაციის გამო. ბიზნესს და მოსახლეობას კი სჭირდება ფული, ხოლო შემოსავლების პარამეტრებს თუ არ აკმაყოფილებს, რასაკვირველია, რთულია, ადამიანმა მიიღოს კრედიტი. საბოლოოდ კი ხალხი ლომბარდებსა და მევახშეების ფულზე, მაღალპროცენტიან სესხზე ხდება დამოკიდებული, რაც საგანგაშო ტენდენციაა“, — აღნიშნა ეკონომისტმა გივი მომცელიძემ.

ბექა დანელია

რას ემსხვერპლნენ საქართველოს მოქალაქეები?

...მდინარე ენგურიდან მაშველებმა სამი პირის ცხედარი ამოასვენეს. დადასტურებული ინფორმაციით, 40 წლის მაყვალა გამისონია, 35 წლის თამუნა ცატავა და 62 წლის თამაზ ბასლანიძე ოკუპირებული გალის მკვიდრები არიან, რომლებიც ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლას შუაღამისას ენგურის გადმოცურვით ცდილობდნენ. გალში ამბობენ, რომ აღნიშნული პირები ზუგდიდში ორიოდე დღით გეგმავდნენ გადმოსვლას რიგი საჭიროებებისთვის და შემდეგ შინ, კვლავ ოკუპირებულ გალში დაბრუნებას.

სამოქალაქო აქტივისტის ელისო ჯანაშიას ხელთ არსებული ინფორმაციით, ამ კონკრეტულ შემთხვევაში გარდაცვლილებს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსასვლელად ოკუპანტების მხრიდან ბარიერი არ შექმნიათ: **„ჩემი ინფორმაციით, ამ ადამიანებს გადმოსვლის უფლება ჰქონდათ აღებული. ანუ, მათი მხრიდან არა თუ ბარიერი, ამ შემთხვევაში ხელშეწყობაც კი იყო, რადგან რამდენადაც ვიცი, ორი მათგანის საბუთს ვადა ჰქონდა გასული და მაინც უშვებდნენ, მაგრამ მათ მალვით გადმოსვლა მოუწიათ იმიტომ, რომ ჩვენ ვკეტავთ 5 დღით“.**

არაერთი მოთხოვნის და განმარტების მიუხედავად, თუ რა პრობლემებს უქმნის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებლებს ოფიციალური თბილისის მიერ მათთვის დაწესებული 5-დღიანი სავალდებულო კარანტინი, საკოორდინაციო საბჭომ რეგულაცია კვლავ ძალაში დატოვა. ქართველების მიერ დაწესებული შეზღუდვების გარდა პრობლემაა თავად საოკუპაციო ძალების მიერ გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვები. თუმცა არსებობს განსხვავებული ვერსიაც: ოკუპანტები ჯგუფს ძაღლებით დაედევნენ და გაქცევის მცდელობისას მოქალაქეები ენგურში ჩაცვივდნენ.

გალელებს ძირითადად ზუგდიდში გადმოსვლა მოკლევადიანი (ორიოდ დღით) ვიზიტით ყოფითი მიზნებისთვის ესაჭიროებათ, იქნება ეს პენსიის აღება, მედიკამენტების, სურსათის, ჰიგიენის, საყოფაცხოვრებო ნივთების შეძენა თუ სამედიცინო დახმარება. მაგალითად, ამჟამად ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცირეწლოვან შვილთან ერთად გადმოსულია ახალგაზრდა ქალი, რომელსაც დამსაქმებელმა მხოლოდ 2-კვირიანი ვადა მისცა უკან დასაბრუნებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის სამსახურს დაკარგავს. ქალმა შვილთან ერთად კარანტინში ხუთი დღე დაჰყო, ექიმთან ვიზიტის შემდეგ გაირკვა, რომ შვილს ქირურგიული ჩარევა სჭირდება. დოკუმენტაციის მოწესრიგებას და პაციენტის საოპერაციოდ გამზადებას დასჭირდა კიდევ ოთხი დღე და მას რჩება ექვსი დღე სამსახურის შესანარჩუნებლად. ამ პერიოდში კი ოპერაცია იმედია, რომ წარმატებით ჩაივლის, გაივლის პოსტოპერაციული პერიოდიც ასევე წარმატებით და ქალი შვილთან ერთად შინ დაბრუნებას შეძლებს.

რა გზის გავლა უნდათ გალელებს?

სტუდენტი გალიდან გია რიგვავა აღწერს გზას, რომელიც თავად გადმოკვეთა ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მოსახვედრად: **„ამ გზის გავლა დიდი რისკია: შესაძლოა, დაგიჭირონ და იზოლატორში ჩაგსვან. გარდა ამისა, ენგურის კალაპოტი არ არის პროგნოზირებადი და როგორც ახლა მოხდა და შესაძლოა, ადამიანი დაიხრჩოს, ამის ბევრი ფაქტი არსებობს. მე როდესაც გადმოვედი, წყლის დონე უფრო დაბალი იყო და შევძელი გადმოსვლა, მაგრამ წინა დღეს მაღალი იყო. შესაძლოა, წყალმა ნებისმიერ დროს მოიმატოს, მათ შორის, ცურვის დროსაც. ეს დამოკიდებულია ენგურჰესში მიმდინარე სამუშაოებზე. ამ შემთხვევაში, დიდი ალბათობით, მომატებული იყო და ამან გამოიწია ადამიანების დახრჩობა. გადმოსაცური ზოგ ადგილას 10 მეტრია, ზოგან უფრო ნაკლები. როდესაც წყალი გაშვებული არაა, წყალი მუხლამდე გწვდება, ხოლო როცა გაშვებულია, წყალი წელამდე და უფრო ზემოთაც იწევს“.**

თუმცა ენგურის გადმოცურვით სახიფათო მგზავრობა არ სრულდება: შემდეგ ადამიანებს ტყე-ტყე, ბილიკებით, მალვით უწევთ მგზავრობის გაგრძელება.

რა პასუხი აქვს თბილისს?

თუ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სახელმწიფო აპარატის განცხადებებით ვიმსჯელებთ, ტრაგიკულ შემთხვევაზე საკუთარ წილ პასუხისმგებლობას ნაკლებად გრძნობენ.

„საოკუპაციო ხაზის გადმოკვეთისას, სოფელ შამგონასა და სოფელ თაგილონის მიმდებარედ რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის მიერ დამკვიდრებული უკანონო დაკავებებისთვის თავის არიდების მიზნით ოკუპირებული გალის რაიონის მკვიდრი საქართველოს სამი მოქალაქე ცდილობდა მდინარე ენგურის გავლით საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლას. მდინარე ენგურის გადმოკვეთისას სამივე მათგანი დაიღუპა.

ეს წარმოადგენს საოკუპაციო რეჟიმის მიერ თავისუფალ გადაადგილებაზე უკანონოდ დაწესებული შეზღუდვებისა და უკანონო დაკავებების დამაზიანებელი პრაქტიკის შედეგს. მომხდარმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა ოკუპაციის თანმდევი პროცესების ანტიჰუმანური და დანაშაულებრივი არსი, რომელზეც სრული პასუხისმგებლობა ეკისრება რუსეთის ფედერაციას. წლების განმავლობაში თავისუფალ გადაადგილებაზე დაწესებულმა უკანონო ე.წ. რეგულაციებმა და შეზღუდვებმა მნიშვნელოვნად გაართულა ადგილობრივი მოსახლეობის ყოველდღიურობა და არაერთი მათგანის სიცოცხლე იმსხვერპლა. ყველა ინციდენტის, თავისუფალი გადაადგილების უკანონო შეზღუდვისა და უკანონო დაკავების ფაქტზე საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობით მკაცრად დადგება საოკუპაციო რეჟიმის პასუხისმგებლობის საკითხი.

ამ ფაქტთან დაკავშირებით, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ გააქტიურებულია ცხელი ხაზი, ინფორმირებულია ევროკავშრის სადამკვირვებლო მისია და ჟენევის დისკუსიების თანათავმჯდომარეები. საკთხის განხილვა მოხდება უმწვავესი ფორმით ყველა არსებული ფორმატის ფარგლებში“, — აცხადებენ **სუს**-ში.

დაახლოებით იგივე შინაარსისაა **სახელმწიფო აპარატის** გამოხმაურებაც:

„სახელმწიფო მინისტრის აპარატი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს აფხაზეთის მიმართულებით საოკუპაციო ხაზთან დმომხდარ ტრაგიკულ ფაქტთან დაკავშირებით.

რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის მხრიდან თავისუფალ გადაადგილებაზე დაწესებულმა უკანონო შეზღუდვებმა ოკუპირებული გალის რაიონში მცხოვრები ჩვენი სამი მოქალაქის სიცოცხლე იმსხვერპლა, რომლებიც ცდილობდნენ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მდინარე ენგურით გადმოსვლას.

პირველ რიგში, ეს არის უდიდესი ადამიანური ტრაგედია, რომელიც კიდევ ერთხელ გვაჩვენებს ოკუპაციის რეალურ სახეს. საოკუპაციო ხაზი უკვე მრავალი წელია ხელოვნურად აშორებს გამყოფი ბარიკადების ორივე მხარეს მცხოვრებ ადამიანებს, რამაც წარსულშიც, თავისუფალი გადაადგილების უკანონო შეზღუდვის შედეგად, საუბედუროდ არაერთი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. საქართველოში მიმდინარე ოკუპაციის შედეგად, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში დღემდე უხეშად ირღვევა ადამიანის ფუნდამენტური უფლებები და ჩვენი მოქალაქეების ძირითადი თავისუფლებები, რაზეც სრული პასუხისმგებლობა ეკისრება რუსეთის საოკუპაციო ძალას და რაც უკვე სამართლებრივად აღიარებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ. სახელმწიფო მინისტრის აპარატი, საქართველოს შესაბამის უწყებებთან და საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად, ყველა ადგილობრივი და საერთაშორისო ინსტრუმენტის და ფორმატის გამოყენებით, განაგრძობს ინტენსიურ ძალისხმევას, რათა დასრულდეს რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის უკანონო ქმედებები და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისთვის უზრუნველყოფილი იყოს ცხოვრების ღირსეული პირობები და უსაფრთხო გარემო, მათ შორის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი თავისუფალი გადაადგილების უფლება. ვუსამძიმრებთ გარდაცვლილთა ოჯახებს და მათ ახლობლებს“.

აქცენტი ნარჩუნდება პრეზიდენტ **სალომე ზურაბიშვილის** განცხადებაშიც:

„მიუღებელია საოკუპაციო რეჟიმის მიერ თავისუფალ გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვები, რომლებიც ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს უხეშად არღვევს და უგულვებელყოფს.

„საგანგაშოა, რომ ამას ეწირება უდანაშაულო და მშვიდობიანი მოსახლეობის სიცოცხლე, რომელიც ოკუპირებულ აფხაზეთში შექმნილ მძიმე ჰუმანიტარული კრიზისით გამოწვეულ სირთულეების გადალახვას ცდილობს. ამ ტრაგედიაზე სრული პასუხისმგებლობა საოკუპაციო რეჟიმს ეკისრება.

თანავუგრძნობ დაღუპულთა ოჯახებს და ვიზიარებ მათ მწუხარებას“.

ფორმალობის მსხვერპლები

ყოფილი სახელმწიფო მინისტრი, კონფლიქტოლოგი **პაატა ზაქარეიშვილი** მომხდარზე პასუხისმგებლობას ქართულ მხარეს აკისრებს.

„აგრესორებს უამრავ საკითხზე აქვთ პასუხისმგებლობა: ქართული ენის აკრძალვაზე, გადაადგილების შეზღუდვაზე, საკუთრებაზე... შეუძლებელია მათი პასუხისმგებლობის განსაზღვრა, იმდენად ყოვლის მომცველია, მაგრამ რაც მოხდა, ეს სრულიად ქართული მხარის პასუხისმგებლობაა!

ამ ადამიანებს ქართულ და აფხაზურ წნეხში უწევთ ცხოვრება. აფხაზური ხომ რჩება და რჩება და მას ახლა ქართული დაემატა. ეს ადამიანები სხვადასხვა საჭიროებისთვის ზუგდიდში 1-2 დღით გადმოდიან. ჩვენები არ აპატიმრებენ, მაგრამ 5-დღიან კარანტინში უშვებენ. ვინც დიდი ხნით მოდის ნათესავებთან, ოჯახთან, მას არ აქვს პრობლემა, მაგრამ ვინც ხანმოკლე დროით გადმოდის, ისინი ჩუმად მოდიან: იქით აფხაზების, აქეთ ჩვენების ეშინიათ და ასეა უმრავლესობა. ყოველდღიურად ასობით ადამიანი გადმოდის და ჩვენებს უნდა ესმოდეთ, რომ თუ ჰიპოთეტურად რაიმე საფრთხე არსებობს, ეს ამგვარად არ მოიხსნება“.

ზაქარეიშვილი გამოსავალს გალიდან გადმოსული მოქალაქეებისთვის პისიარ-ტესტირების ხელმისაწვდომობაში ხედავს. ამ შემთხვევაში ეს ადამიანები სუფთა ფორმალობას შეეწირნენ, ყველამ კარგად იცის, რომ ხალხი მალვით გადმოდის, მაგრამ ვინაიდან საკოორდინაციო საბჭოს დადგენილება არსებობს, ამიტომ მას ასრულებენ, ვითომ არც არაფერი ხდება..

არაკომპეტენტურობასა და ბიუროკრატიაზე ამახვილებს ყურადღებას კონფლიქტოლოგი **გიორგი კანაშვილიც**:

„ზოგადად — კი, ყველაფერი ოკუპაციის ბრალია. მაგრამ მოდით, ამ კონკრეტულ შემთხვევაში გავერკვეთ...დავსვათ მარტივი კითხვა — რატომ გადმოდიოდენ ეს ხალხი მდინარეზე და რატომ არ გადმოვიდნენ ჩვეულებრივად, ენგურის ხიდით? სრული პასუხისმგებლობით ვამბობ — ეს ხალხი (ნაწილი მაინც) ცდილობდა ჩვენს მიერ დაწესებულ კარანტინზე თავის არიდებას!

რამდენი ხანია, ხან — გთხოვთ, ხან პეტიციებს გაწვდით, ხან შემოთავაზებებს გიგზავნით და ყრუ კედელი...ვინც არ იცის — ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებთ, ჯერ მთელი წელი 12—დღიანი კარანტინი ეხებოდათ, ამ ერთი თვის წინ კი 5 დღემდე ჩამოწიეს დღეთა რაოდენობა. ხალხს ათასი გადაუდებელი საჭიროება აქვს — ჯანმრთელობის, პროდუქტების შეძენის და ა.შ. შესაბამისად 5 დღე კარანტინში ჯდომა, უბრალოდ არ გამოდის, ამიტომ მიდიან ასეთ რისკზე...

რა უნდა გაეკეთებინა ხელისუფლებას, შესაბამი კონტაქტები და გამბედაობა რომ ჰქონდეთ?! არანაირი კარანტინი, რეალურად არ იყო საჭირო: გალის საავადმყოფოებისთვის უნდა გადაეცათ შესაბამისი აპარატურა და ტესტები; შედეგად ეცოდინებოდათ დაახლოებითი სურათი ადგილზე; შესაბამისად, ისევე, როგორც დანარჩენ საქართველოს შემთხვევაში: თუ ეპიდვითარება გაუარესდებოდა — ჩაეკეტათ; თუ ნორმალური ვითარება იქნებოდა — გაეხსნათ და ა.შ.

რატომ არ კეთდება, ეს მარტივი საქმე? — იმიტომ, რომ ჩვენ არ გვყავს მთავრობაში პოლიტიკოსები, გვყავს ჩვულებრივი ბიუროკრატები, არავის არ უნდა საკუთარ თავზე ინიციატივის აღება; მეორე — ასევე სრული პასუხისმგებლობით ვიძახი, კონფლიქტების თემაზე მომუშავე უმაღლეს თანამდებობებზე მყოფ ხალხს, აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნამდე — კონფლიქტებთან არც კი გაუვლიათ...ანუ კომპეტენციის ნაკლებობა, ან სრული არქონა.

შესაბამისად — ბევრად მარტივია, იყვირო რუსეთი და ოკუპაცია. სამწუხაროა, მაგრამ საქართველოს ხელისუფლება მტერს არ ექცევა ისე (რაც კარგად ვნახეთ პოზნერის შემთხვევაში), როგორც საკუთარ მოქალაქეებს...

გალელებო, დევნილებო — თქვენ უნდა ამოიღოთ ხმა! აფხაზეთის მთავრობავ — ერთხელ მაინც ამოიღეთ რამეზე ხმა!“.

ახალი სიცოცხლის სათავესთან...

ექიმის პროფესია ოდითგანვე ერთ-ერთ საპატიო და პატივსაცემ პროფესიად ითვლებოდა. ადამიანის ჯანმრთელობის სადარაჯოზე მდგარი კარგი სპეციალისტები მედიცინის სფეროში მთელი კაცობრიობის არსებობისა და განვითარების განმავლობაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ. პაციენტის ფსიქოლოგიის კარგად მცოდნე ნამდვილი ექიმები ავადმყოფთა პრობლემას კომპლექსურად უდგებოდნენ, მკურნალობას არა მხოლოდ მედიკამენტებით საშუალებით ახდენდნენ, არამედ ინდივიდუალური მეთოდებითაც.

ღვთის ნიჭით დაჯილდოებული ექიმები, ჰიპოკრატეს ფიცის დადების შემდეგ მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში საკურთხეველზე დებენ მთელს თავის ცოდნას, უნარსა და გამოცდილებას, იმისათვის რომ უანგაროდ ემსახურონ არჩეულ რთულ გზას.

...ნამდვილად ზუსტადაა შენიშნული, რომ ნეტარია ის, ვინც დილით სამუშაოსკენ მიიჩქარის, ხოლო საღამოს – სახლისაკენ. ექიმი, რომელსაც თავისი პროფესია გულწრფელად უყვარს, დილიდან მიიჩქარის ავადმყოფებისაკენ, იმისათვის რომ გასინჯოს, უმკურნალოს, კონკულტაცია გაუწიოს, გვერდში დაუდგეს, იპოვოს საუკეთესო გზები პაციენტის გამოსაჯანმრთელებლად.

ჩვენს არცთუ მარტივ საუკუნეში, როდესაც მთელი მსოფლიო კორონავირუსის ეპიდემიას ებრძვის, ადამიანების ერთ-ერთი ყველაზე სავარაუდო რისკის ჯგუფში, რომლებიც შეიძლება დაავადდნენ, არიან ექიმები, რომელთა შრომაც COVID-19-თან ბრძოლის საქმეში ფასდაუდებელია. საკუთარი ხალხისათვის სამსახურის გაწევის მოთხოვნილების შეგრძნება, თავგანწირვა, ხანდახან კი, საკუთარი თავის შეწირვაც კი, მილიონობით ადამიანისთვის ექიმებს გმირებად და სამაგალითო ადამიანებად აქცევს. ბევრ შემთხვევაში, ადამიანის ბედი პირდაპირ არის დამოკიდებული ექიმის პროფესიონალიზმზე, მის მიერ სწორედ დასმულ ეპიკრიზზე და მკურნალობაზე.

ჩვენი დღევანდელი წერილის მთავარი გმირი არის საქართველოში, მარნეულის რაიონში, მოსამსახურის ოჯახში დაბადებული **გაჯიევა ფატიმა რასიმ კიზი,** რომელიც ბავშვობიდან ოცნებობდა, ექიმი გამხდარიყო. ჯერ კიდევ ბავშვობაში ის თოჯინებსა და შინაურ ცხოველებს „მკურნალობდა“. შემდგომ, ფრიადოსანი, ბაქოს №7 საქალაქო სკოლის ექსტერნად კურსდამთავრებული, ექიმის პროფესიის სიყვარულმა, 1995 წელს ნარიმან ნარიმანოვის სახელობის აზერბაიჯანის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში მიიყვანა.

გამოცდების ჩაბარებისას ყველაზე მაღალი ქულების აღების შემდეგ, ფატიმა ზემოთ აღნიშნული უმაღლესი სასწავლებლის სამკურალო-პროფილაქტიკური ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. სამედიცინო სასწავლებლის დაწესებულებაში თავისი არჩეული პროფესიის შესაბამისი ცოდნის შეძენის შემდეგ 2001 წელს მან წარჩინებით დაამთავრა ინსტიტუტი მეანგინეკოლოგის სპეციალობით. 2001-2002-იან წლებში გადიოდა ინტერნატურას ენდოკრინოლოგიის განყოფილებაში, რომელიც ფ. ეფენდიევას სახელობის საქალაქო საავადმყოფოსთან ბაზირდება: 2005-2007-იან წლებში გადოდა კლინიკურ ორდინატურას ნარიმან ნარიმანოვის სახელობის აზერბაიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეანობისა და გინეკოლოგიის კათედრაზე მეან-გინეკოლოგის რანგში. 2008 წლიდან მეანობისა და გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის „გინეკოლოგიის“ განყოფილებაში სამეცნიერო თანამშრომლის რანგში დაწყებული პროფესიული მოღვაწეობის მიუხედავად, ფატიმა გაჯიევამ გადაწყვეტილება მიიღო პრაქტიკული და თეორიული საქმიანობა ერთმანეთთან შეეთავსებინა. 2008 წელს მოხდა მისი დამტკიცება დისერტაციაზე, ხოლო 2013 წელს დაიცვა არჩეული თემის შესაბამისად წარდგენილი დისერტაცია, რისთვისაც მიიღო ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მედიცინის დარგში.

საკუთარი სპეციალობის ნამდვილი პროფესიონალი ფატიმა გაჯიევა წარმატებით აგრძელებს თავის შრომით საქმიანობას, აბარებს აზერბაიჯანის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში მეცნიერებათა დოქტორის პროგრამით. ამჟამად, ახალგაზრდა მეცნიერი, ორი სასწავლო სახელმძღვანელო წიგნის და 60-ზე მეტი სამეცნიერო სტატიის ავტორია. დოცენტი ფატიმა გაჯიევა ხელმძღვანელობს ქალაქ ბაქოს მეანობისა და გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის „გინეკოლოგიის“ განყოფილებას. როგორც თვითონ ექიმი ამბობს, აქვს რა მზაობა ნებისმიერი ექსტრემალური ვითარებისა, ის კმაყოფილებას ღებულობს თავისი არჩეული პროფესიისგან.

წინ დიდი გზა უძევს მარნეულში გაზრდილ ფატიმა გაჯიევას. წარმატებები ვუსურვოთ მას!...

ნარიმან ალიევი.
ქ. ბაქო

ბაიდენი რუსეთის წინააღმდეგ სამხილებს აგროვებს



აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციამ რუსეთის მტრული ქმედებების შესახებ მტკიცებულებები შეაგროვა და შესაძლო საპასუხო ზომებს სწავლობს. ინფორმაციას ამის შესახებ სააგენტო Bloomberg-ი თეთრ სახლში წყაროზე დაყრდნობით ავრცელებს.

რუსეთის მტრულ ქმედებებს შორის ჯო ბაიდენის ადმინისტრაციაში ასახელებენ რუსეთის მხრიდან არჩევნებში ჩარევას და აშშ-ში განხორციელებულ კიბერშეტევას. წყაროს ინფორმაციით, საპასუხო ზომებს შორის ჯო ბაიდენის ადმინისტრაცია რუსი დიპლომატების გაძევებასა და ვლადიმერ პუტინის გარემოცვის წევრებისთვის სანქციების დაწესება განიხილავს.

ლიეტუვა უკრაინისათვის MAP-ის მინიჭებას ითხოვს

ლიეტუვის საგარეო საქმეთა მინისტრმა, გაბრიელიუს ლანდსბერგისმა განაცხადა, რომ ლიეტუვა ნატოს წევრებს უკრაინისათვის წევრობის სამოქმედო გეგმის (MAP) მინიჭებას შესთავაზებს.

„უახლოეს დროში ჩვენ კვლავ უნდა მივმართოთ კოლეგებს წერილით, რომ უკრაინისათვის წევრობის სამოქმედო გეგმის მინიჭების შესაძლებლობა განიხილონ. დარწმუნებული ვარ, რომ ნატოს შეუძლია გაიმეოროს თავისი შეთავაზება MAP-ის მინიჭების თაობაზე“, – აღნიშნა ლიეტუვის საგარეო საქმეთა მინისტრმა. გაბრიელიუს ლანდსბერგისმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ უკრაინისათვის MAP-ის მინიჭება ძლიერი სიგნალი იქნება რუსეთისთვის.

თურქული ფოკუსი ევროკომისიის პრეზიდენტისთვის

ევროკომისიის პრეზიდენტი ურსულა ფონ დერ ლაიენი გაკვირვებული დარჩა მას შემდეგ, რაც ევროკავშირის ორი პრეზიდენტისა და თურქეთის ლიდერის რეჯეფ თაიფ ერდოღანის შეხვედრაზე მას სკამი არ შესთავაზეს.

გავრცელებულ ვიდეოკადრებში ჩანს, რომ ევროკომისიის ხელმძღვანელი ამ ნაბიჯით აშკარად გაღიზიანებული დარჩა და მას რეჯეფ თაიფ ერდოღანისა და შარლ მიშელისგან მცირედი დაშორებით, გრძელ ტახტზე განთავსება მოუწია.

„ევროკომისიის პრეზიდენტი აშკარად გაკვირვებული იყო. ჩვენი პრეზიდენტის პროტოკოლის დონე ზუსტად იგივეა, როგორიც ევროპული საბჭოს პრეზიდენტს აქვს. პრეზიდენტმა თავის გუნდს სთხოვა, რომ ყველა შესაბამისი ზომა მიიღონ, რათა მომავალში ასეთი ინციდენტი არ განმეორდეს“, – განაცხადა ურსულა ფონ დერ ლაიენის პრესმდივანმა. აღნიშნულ პროტოკოლურ ინციდენტს ესპანელი ევროპარლამენტარი, ირაჩე გარსია პერესიც გამოეხმაურა. **„ჯერ სტამბოლის კონვენციიდან გავიდნენ და ახლა ოფიციალური ვიზიტისას ევროკომისიის პრეზიდენტი სკამის გარეშე დატოვეს. სამარცხვინოა!“** – წერს ევროპარლამენტარი.

ფაშინიანი რუსეთს „შეურიგდა“...

სომხეთსა და რუსეთს შორის სტრატეგიული თანამშრომლობა კიდევ უფრო უნდა გაღრმავდეს. ამის შესახებ სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლ ფაშინიანმა მოსკოვში ვიზიტის ფარგლებში განაცხადა.

„ცხადია, რომ სომხეთსა და რუსეთს სტრატეგიული ურთიერთობები აქვთ და ეს სტრატეგიული ურთიერთობები კიდევ უფრო უნდა გავაღრმავოთ იმის გათვალისწინებით, თუ რა გამოწვევების წინაშე ვდგავართ“, – აღნიშნა ნიკოლ ფაშინიანმა. სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ასევე განაცხადა, რომ რუსეთთან ორმხრივი ურთიერთობების დღის წესრიგი ფართოა.

7 აპრილს მოსკოვში ნიკოლ ფაშინიანსა და ვლადიმერ პუტინს შორის შეხვედრა გაიმართა. რუსეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ სომხეთის ეკონომიკაში მთლიანი ინვესტიციების 40% რუსული წარმოშობისაა. თავის მხრივ, ნიკოლ ფაშინიანმა რუსი სამშვიდობოების მთიან ყარაბაღში ყოფნას გაუსვა ხაზი.

გიულენის მომხრეებს სამუდამო პატიმრობა მიესაჯა

თურქეთში სამხედრო გადატრიალების მცდელობაში ბრალდებულ 22 ყოფილ სამხედროს სამუდამო პატიმრობა მიესაჯა. ანკარის სასამართლომ ისინი დამნაშავედ ცნო სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლით, მათ შორის კონსტიტუციური წესრიგის დამხობის მცდელობა, ასევე თურქეთის პრეზიდენტის მკვლელობის მცდელობა.

სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა ქვეყანაში 2016 წლის 15 ივლისს მოხდა. ხელისუფლების დამხობის მცდელობის ორგანიზებაში ანკარა ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრებ ფეთულჰ გიულენს ადანაშაულებს. 2016 წლიდან დღემდე გიულენის ორგანიზაციასთან კავშირის ბრალდებით დაკავებულთა რიცხვი 500 000-ს აჭარბებს.

შპს „რეაბილიტაცია-ადაპტაციის ეროვნული ცენტრის“

ბალანსზე რიცხული ავტომობილის რეალიზაციის საუქციონო პირობები

ქ. თბილისი, სპ. კედიას ქ. №7

ორგანიზაციის დასახელება: შპს „რეაბილიტაცია-ადაპტაციის ეროვნული ცენტრი“ აცხადებს „ცენტრი“-ს ბალანსზე რიცხული ავტომობილის, Mersedes-benz, VITO111cdi, WIN: WDF63970513475432, სახელმწიფო ნომ. MM 023 HH, გამოშვების წელი 2008 აუქციონის შემდეგი პირობებით

აუქციონზე ავტომობილის საწყისი ღირებულება 16800 ლარი.

ბიჯის ღირებულების 10 პროცენტი – 1680 ლარი.

აუქციონში მონაწილეობის „ბე“-ს თანხა ღირებულების 5 პროცენტი – 840 ლ.

აუქციონში მონაწილეობის თანხა – 100 ლ.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი

დოკუმენტაცია:

„ბე“-ს გადახდის ქვითარი შემდეგ რეკვიზიტებზე: შპს „რეაბილიტაცია-ადაპტაციის ეროვნული ცენტრი“; ს.კ.202059388. ს.ს საქართველოს ბანკი

ა.ა.GE29BG0000000895329300

პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები.

ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

საჯარო აუქციონში მონაწილეობა შეუძლია ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

1. ავტომობილის რეალიზაციის შემდგომ მყიდველი თანახმაა აღმოფხვრას ყველა ტექნიკური თუ ვიზუალური ხარვეზი, რაც აუქციონის ჩატარებამდე გააჩნდა ავტომობილს.

2. მყიდველი იღებს ვალდებულებას 2021 წლის ბოლომდე, ცენტრის საჭიროების შემთხვევაში, საწვავით უზრუნველყოფის პირობით პერიოდულად გაუწიოს ცენტრს მომსახურება შეღავათიანი (სიმბოლური) ტარიფით – წინასწარი შეთანხმების საფუძველზე.

3. ავტომობილის გაფორმების ყველა ხარჯი ეკისრება მყიდველს.

აუქციონში მონაწილეობის მსრულველთა განცხადების მიღება იწარმოებს გაზეთში გამოცხადების დღიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში. აუქციონი გაიმართება შპს „ რეაბილიტაციია-ადაპტაციის ეროვნული ცენტრი“-ს შენობაში 2021 წლის 22 აპრილს მისამართზე: თბილისი, სპ. კედიას ქ. №7, მე-2 სართული ტელ: 0322348047.

განცხადება

აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ლეილა გრძელიშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის თანამესაკუთრეები:** ლეილა გრძელიშვილი (პ/ნ 01011007193), თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის მე-6 შესახვევი №5, ბინა №25

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის მე-6 შესახვევი №5, ბინა №25 (საკადასტრო კოდი: 01.17.11.026.016.01.025).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 33670.5 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2021 წლის 12 აპრილი, 14:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2021 წლის 23 აპრილი, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP70298321;

აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 702983

6. **მოვალე:** ლეილა გრძელიშვილი (პ/ნ 01011007193), თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის მე-6 შეს. №5, ბინა №25;

მიხეილ გრძელიშვილი (პ/ნ 01011027385), თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის მე-6 შეს. №5, ბინა №25.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP70298321; ლოტის ნომერი: 702983).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2021 წლის 23 აპრილის 10:00 საათამდე.

ბუმერებიდან ალფებამდე

მე-20 საუკუნის შუახანებიდან მოყოლებული, სხვადასხვა დროს დაბადებულ თაობებს, სოციოლოგებმა განსხვავებული სახელები შეარქვეს **ბები-ბუმერებს** (1943-60 წწ) მორალსა და პრინციპებზე აქვთ გონება მიმართული; **X-თაობას** (1961-81) ცხოვრებისეულ ძალთა სიჭარბე, დამოუკიდებლობა, შვილებზე განსაკუთრებული ზრუნვა გამოარჩევს; **Y – თაობა, ანუ მილენიალები** – დიდად განათლებული, თვითშემეცნებასა და პასუხისმგებლობაზე ორიენტირებულნი არიან, თანაც აქტიურობით გამოირჩევიან; **Z – თაობა** (2004 წლის შემდეგ დაბადებულნი) – სოციალური მედიის თაობა, რომელიც მეტად მოძრავი და გადაწყვეტილებების სწრაფად მიმღებია, ამავდროულად, დემონსტრაციულად ემოციურია და არ უყვარს, როცა ვინმე მის დამშვიდებას ცდილობს; **ალფა-თაობა** – ესაა 2010 წლის შემდეგ დაბადებული ბავშვები, რომელთა ცხოვრებაზე უდიდეს ზეგავლენას ახდენს რეალურ სინამდვილეში ვირტუალური ცხოვრების სულ უფრო მძლავრი შემოჭრა.

ჯენტლმენები კანჩეჯანგაზე

დედამიწის უმაღლესი მწვერვალი – ჰიმალაის ჯომოლუნგმა (8848 მ) ახალზელანდიელმა სერ ედმუნდ ჰილარიმ და შერპმა თენსინგ ნორგეიმ ამ შვიდი ათეული წლის წინათ, შორეულ 1953 წელს რომ დაიპყრეს, მთამსვლელთა სადიდებელ ხმათა ქოროში აქაიქ გაისმა კრიტიკული შენიშვნები წმინდა ადგილის წაბილწვის თაობაზე.

საქმე ისაა, რომ ინდუისტური შეხედულებათა თანახმად, „დედამიწის დიდი დედა“ – ასე ითარგმნება სახელი „ჯომოლუნგმა“, რომელსაც ევროპელები კიდევ „ევერესტსაც“ უწოდებენ, წმინდა ადგილია, სადაც მოკვდავ ადამიანებს ფეხის დადგმის უფლება არა აქვთ. მაგრამ, მთამსვლელთა მიერ ჯომოლუნგმას რეკორდული დალაშქვრა იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ ბრიტანეთის ალპურმა კლუბმა და მსოფლიო პრესამაც უკმაყოფილო მორწმუნეთა აღშფოთება არაფრად ჩააგდეს.

მაგრამ, როცა 1955 წლის 25 მაისს სხვა დიდმა მთამსვლელებმა – ინგლისელმა **ჯორჯ ბენდმა** და **ჯო ბრაუნმა,** სიმაღლით მსოფლიოს მესამე მწვერვალი – **კანჩეჯანგა** – სამხრეთ-დასავლეთის ფერდით დალაშქრეს, მათ მორწმუნეთა ორი წლის წინანდელი შეშფოთება გაახსენდათ და კეთილშობილურად მოიქცნენ: ისინი ინდუისტებისთვის წმინდა მთის თხემის უმაღლესი წერტილიდან მეტრნახევარში გაჩერდნენ და ზედ ფეხი არ შეუდგამთ. თავიანთი წარმატების აღსანიშნავად კი თერმოსიდან ჩამოსხმული თითო ფინჯანი ჩაი შესვეს...

ეს გოგო რა კარგი ბიჭია!

მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის ჰოლივუდის ერთ-ერთი კაშკაშა ვარსკვლავის, მსახიობისა და მომღერლის, წარმოშობით სომეხი შერის სახელი საქვეყნოდაა ცნობილი. თუმცა კი ტაბლოიდების პირველ გვერდებზე პორტრეტების ხშირ გამოჩენას, შერი თავის შვილსაც უნდა უმადლოდეს.

ჩესტიტი – ასე ერქვა (დიახ, ასე, წარსულ დროში – „ერქვა“) შერისა და არანაკლებ პოპულარული მომღერლის **სონი ბონოს** ქალიშვილს, რომელმაც 1995 წელს უცბად განაცხადა, რომ მას ყმაწვილებზე მეტად ქალიშვილები იზიდავენ. 21-ე საუკუნის დამდეგისთვის კი ჩესტიტიმ სულაც სქესის შეცვლა გადაწყვიტა – უბრალოდ ლესბოსელობა მას აღარ აკმაყოფილებდა, რისთვისაც ფული თავის მეგობარ ჭაბუკს გამოართვა, რადგანაც შიშობდა, რომ დედა მის „წადილს სწორად ვერ გაიგებდა“(?!)

მაგრამ აღმოჩნდა, რომ ქალიშვილი (თუ ვაჟიშვილი?) ცდებოდა – შერმა საჯაროდ განაცხადა, რომ თავის პირმშოს ბოლომდე გვერდში ამოუდგებოდა. მეტიც, ქალიშვილის მიერ სქესის შეცვლასთან დაკავშირებით საკუთარ განცდებზე, მან საზოგადოებას დოკუმენტურ ფილმში „ჩეზად გახდომისას“ უამბო.

თუმცა თავიდან ყველაფერი არც მაინცდამაინც სასურველი სცენარით მიდიოდა: შერს უჭირდა ქალიშვილისთვის ბიჭის სახელით მიმართვა. თანაც, მანამდე ისედაც მსუქანმა ჩეზმა ჰორმონების მიღების შედეგად წონაში საშინლად მოიმატა. ახლა კი 51 წლის ტრანსგენდერმა წონაში დაიკლო, მეგობარი გოგონებიც გაიჩინა და სერიალებშიც პატარ-პატარა როლებსაც ასრულებს.

* * *

თავისი სქესისადმი ლტოლვით გამოირჩევა კიდევ ერთი საქვეყნოდ ცნობილი იტალიელი მომღერლის – ადრიანო ჩელენტანოს უმცროსი ქალიშვილი როზალინდა.

მან შესანიშნავად შეასრულა სატანის როლი მელ გიბსონის ფილმში „ქრისტეს ვნებანი“, რომელიც რეჟისორმა საგანგებოდ მისთვის შექმნა, თანაც მსახიობმა ჰონორარზე უარი თქვა.

როზალინდა ბავშვობიდანვე მშობლებისთვის თავის ტკივილის უშრეტი წყარო იყო: ჯერ იყო და სახლიდან გაიქცა, მაწანწალობდა და, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ კარგად მღეროდა და ხატავდა, თავს მათხოვრობით ირჩენდა. 1990 წელს სანრემოში მას მხატვარი პაოლო პიერლუიჯი შეუყვარდა, მაგრამ იგი მალევე თავის ტვინის სიმსივნით გარდაიცვალა, რის შემდეგ როზალინდამ თმა გადაიპარსა და ლესბოსელი გახდა, 36 წლისამ კი თავის მოკვლაც კი სცადა, მაგრამ, საბედნიეროდ, ექიმებმა მისი გადარჩენა შეძლეს. როზალინდას საყვარლებს შორის იყვნენ აზია არჯენტო და მონიკა ბელუჩი.

„მაშველი“ ბზიკები

ხეებს თავდაცვის საოცარი უნარი აქვთ. როცა თელასა და ფიჭვებს მატლი შეესევა, მათ მწერთა ნერწყვზე უმალ საპასუხო რეაქცია იწყება: ხეები იმ ფერომონების გამომუშავებას იწყებენ, რომლებიც პარაზიტულ ბზიკებს იზიდავენ.

ბზიკები კვერცხებს მატლების სხეულში დებენ, რომლებიც ზრდის პროცესში მათ შიგნიდან ნთქავენ.

მოამზადა ოთარ ტურაბელიძემ

◎ ჩოგბურთი

მარათონული წარმატება

მეოთხე ნომრად განთესილმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა გამარჯვებით დაიწყო კალიარის ATP 250 კატეგორიის საჩოგბურთო ტურნირი.

მან სამსაათიან მარათონში სლოვაკი იოზეფ კოვალიკი 4:6, 6:4, 7:5 დაამარცხა, თანაც ისე, რომ ხუთი მატჩბოლი მოიგერია და მეოთხედფინალში გერმანელ იან-ლეონარდ შტრუფს შეხვდება, ვისთანაც აქამდე გამართული 6 ბრძოლიდან მხოლოდ ერთი აქვს მოგებული.

◎ ლეგიონერები

პლეი-ოფში გავიდნენ

ფიბას საკალათბურთო ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური რაუნდის ფინიშზე პლეი-ოფში ვადამდე გასულთა მონაწილეობით გამართულ ესპანურ დერბიში „ტენერიფემ“ შინ „ბურგოსი“ დაჯაბნა — 89:60 და საკუთარ კვარტეტში 5 მოგებით პირველი ადგილი დაიკავა, სტუმრები კი 4 წარმატებით მეორე პოზიციაზე დამკვიდრდნენ.

მასპინძელთა ლიდერმა გიორგი შერმადინმა ამჯერად პარტნიორებს 20 წუთში 14 ქულა, 7 მოხსნა და 2 შედეგიანი გადაცემა შეაშველა, ხოლო მეტოქის უკანახაზელმა თად მაკფადენმა 12 წუთში მხოლოდ 2 ქულა და 1 პასი მოაგროვა.

„ჯვაროსნები“ ვახსენეთ და დავძენთ, რომ ევრობასკეტის დებულების თანახმად, საქართველომ თავის ჯგუფში მეორე წევრად თურქეთი აირჩია, იტალიამ კი ასეთივე პატივი ესტონელებს მიაგო.

◎ ჩემპიონთა ლიგა

თოვლიან აპრილში

ლევანდოვსკისა და გნაბრის ტრავმებს „ბაიერნის“ თავკაც ფლიკსა და სპორტულ დირექტორ სალიჰამიჯიჩს შორის ბოატენგის კონტრაქტის გამო გართულებული ურთიერთობაც დაერთო, ყველაფერი კი მიუნხენში მოულოდნელად დაწყებულმა თოვლმა დააგვირგვინა.

ასე რომ, საშინაო „ალიანს არენაზე“ რეკორდმაისტერის მარცხი „პარი სენ-ჟერმენთან“ — 2:3 ლოგიკურად უნდა მივიჩნიოთ, მით უმეტეს დუბლის ავტორ მბაპესა და ორი საგოლე პასის შემსრულებელ ნეიმარის ჩინებული თამაშის ფონზე. მოკლედ, 13 აპრილს ჯერაც მოქმედ გვირგვინოსნებს ტიტულის დასაცავად საფრანგეთის დედაქალაქში მძიმე ბრძოლა მოუწევთ.

ნახევარფინალისკენ ომახიანი ნაბიჯი გადადგა „ჩელსიმ“, რომელმაც „პორტუ“ ნეიტრალურ მოედანზე — სევილიაში 2:0 დაამარცხა, დანარჩენ წყვილებში კი მძაფრი საპასუხო პლეი-ოფების რაუნდი გველოდება:

„რეალი“ — „ლივერპული“ 3:1,
„სიტი“ — „დორტმუნდი“ 2:1.

◎ არდავიწყება

სიკეთის ხნული წმინდა კაცისა



მოხსენება დავამთავრე თუ არა, გასუსულ დარბაზს მოვავლე თვალი. პრეზიდიუმში პროფესორებმა მხრების აჩეჩით გადახედეს ერთმანეთს.

ჩემგან რამდენიმე ნაბიჯში მჯდომმა ახალგაზრდა ულვაშა კაცმა ასწია ხელი. ბრძანეთო, უთხრა სხდომის თავმჯდომარემ.

— მეგობრებო! — ირგვლივ მიმოიხედა და ამოისუნთქა. — რაც ახლა მოვისმინეთ, მეორეკურსელის ნამუშევარს არ ჰგავს...

გამცრა. წამიერად ჩემი მეცნიერ-ხელმძღვანელის მიერ რვეულის ფურცელზე მწვანე მელნით დაწერილი რეცენზია (ახლაც შენახული მაქვს) დამიდგა თვალწინ: „ამ თემის კონფერენციაზე გატანის წინააღმდეგი ვარ... შენ გამო აკადემიკოსებს ვერ გადავიკიდებ“... ვამტკიცებდი, „შუშანიკის წამების“ შესავალი არასდროს დაწერილა, ამდენად, ვერც დაიკარგებოდა, ვარსქენ პიტიახში მოღალატე არ არის და ნაწარმოები 476-478 წლებშია დაწერილი-მეთქი...

— ალბათ, დამეთანხმებით, — განაგრძობდა ოპონენტი. — ეს არის „შუშანიკის წამების“ ახლებური ხედვა. აღფრთოვანებული ვარ. ყოჩაღ!.. — დაასრულა მან და ტაში შემოჰკრა. დარბაზიც აჰყვა.

ეს ახალგაზრდა კაცი პუშკინის პედინსტიტუტის ლიტერატურის კათედრის დოცენტი **დავით კოტორაშვილი** გახლდათ. მახსოვს, მაშინ მას მხარი აუბეს თსუ-ს პროფესორმა ტარიელ კვანჭილაშვილმა და პედინსტიტუტის პროფესორმა ეთერ არჯევანიძემ.

ეს იყო 1977 წელს. იმ სხდომის შემდეგ ბატონ დავითს დავუმეგობრდი. მესამე-მეოთხე კურსებზე ლექციებს გვიკითხავდა ქართულ ლიტერატურაში. სტუდენტები სულგანაბული ვუსმენდით. გვხიბლავდა მისი იუმორნარევი საუბრები.

თავადაც პედაგოგიური ინსტიტუტი დაუმთავრებია. პროფესორ დიმიტრი ბენაშვილის რჩევით, ნიჭიერი ახალგაზრდა უმაღლეს სასწავლებელში ასისტენტად დაუტოვებიათ. მერე იყო ასპირანტურა და საკანდიდატო დისერტაციის დაცვა. მალე შეაყვარა თავი თანამშრომლებსა და სტუდენტებს. ლექციების წასაკითხავად სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში იწვევდნენ. ერთხელ ვთხოვე და მარნეულში გავყევი ჰეიდარ ალიევის სახელობის საქართველო-აზერბაიჯანის სასწავლო უნივერსიტეტში ლექციაზე დასასწრებად. შენობაში შევედით თუ არა, კაბინეტიდან სასწავლებლის რექტორი ნოვრუზ ბაირამოვი გამოვიდა. დათოს თვალი მოჰკრა თუ არა, ხელები მაღლა აღაპყრო და აღფრთოვანებით შესძახა - ჩვენი წმინდა კაცი მოვიდაო...

ცამდე მართალი იყო ბატონი ნოვრუზი! დავით კოტორაშვილი ჭეშმარიტად წმინდა კაცი გახლდათ, უღალატო, პატიოსანი, დიდთან — დიდი და პატარასთან — პატარა. ვინ იცის, რამდენ ადამიანს ამოდგომია მხარში. როგორი დაღლილიც უნდა ყოფილიყო, შრომაზე არასდროს ამბობდა უარს. ორასამდე საკანდიდატო თუ სადოქტორო დისერტაციის ოპონენტი გახლდათ. ყველა მისკენ მიიწევდა. ერთხელ ხუმრობით თქვა, ამ დალოცვილებს ჰგონიათ, საყველაფრო მაქვს დამთავრებული, მე კი ერთი უბრალო „სამჭკუაშვილი ვარო“. თუმცა უარს არავის ეუბნებოდა. ყოველ ცისმარე, გაიღვიძებდა თუ არა, მაშინვე წიგნებს ჩაუჯდებოდა. ხუთი წიგნის რედაქტორსა და ათზე მეტი კრებულის რეცენზენტს ენაწყლიანობით მოუხიბლავს აკაკი ხინთიბიძის, ფარნაოზ კოტეტიშვილის, ემზარ კვიტაიშვილისა და სხვათა თხზულებების თაყვანისმცემლები. თავადაც ცდილობდა საერთო ფერხულს არ ჩამორჩენოდა და სისტემატურად მონაწილეობდა პროფესორ-მასწავლებელთა რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციებში, ნაშრომებს აქვეყნებდა პედაგოგიური უნივერსიტეტისა და შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის შრომების კრებულებში, ჟურნალ „მეცნიერება და ცხოვრებაში“.

წარმოიდგინეთ, სპორტისთვისაც კი იცლიდა. მაშინ უნივერსიადებში სტუდენტებთან ერთად პროფესორ-მასწავლებლებიც მონაწილეობდნენ. მახსოვს, ერთხელ მძლეოსნობის მანეჟში გამართულ შეჯიბრებაში ვიასპარეზეთ. რბენაში ვერა, მაგრამ ბირთვის კვრაში ვაჯობეთ ჩვენზე უარესებს და მეორე-მესამე ადგილები გავიყავით. მაშინ აღგვბეჭდა ფირზე ბატონი დავითის ძმამ - ცნობილმა ფოტოხელოვანმა სანდრო კოტორაშვილმა.

ალბათ, იკითხავთ, როდის ასწრებდა ამდენსო. დიახ, ასწრებდა ტიტანური შრომის ფასად, თანაც ისე, რომ წუნი არაფერში დაედებოდა. ოჯახის წევრებიც ხელს უწყობდნენ: მეუღლე - ქალბატონი ცირა, სათნო და მოსიყვარულე ადამიანი, ვაჟი გიორგი — სპორტსმენი და გონიერებით მამის ალიკვალი, ორივენი ლიტერატურაში მეცნიერებათა კანდიდატები, ყველაფერს აკეთებდნენ, რომ დათოს ხელი არაფერში შეშლოდა.

სამუშაო კაბინეტში ვაჟა-ფშაველას პორტრეტი ეკიდა, მის პროზასა და პოეზიას აღმერთებდა თავადაც პოეტური სულით გაჟღენთილი. ჩემი სტუდენტობისას პოეტ შარლოტა კვანტალიანთან ერთად პუშკინელთა ლიტერატურულ წრეს ხელმძღვანელობდა. ომახიანად კითხულობდა ცნობილ მგოსანთა ლექსებს. საკუთარ შემოქმედებაზე ლაპარაკი არ უყვარდა, თუმცა, რამდენჯერმე დავტყუეთ მშვენიერი პოეტური სტრიქონები:

„მისი მიბაძვით, სული წმინდის მადლით, შეწევნით...
და მეც გამომყავს ლექსი ხელით გაუბედავით,
საუბედუროდ, ვერ ვეშვები ლექსების წერას,
მუზას ვაწუხებ ჩალექსებით უკვე ბებერიც
და ისიც მწყალობს, გადმომხედავს ხანდახან ცერად,
ვით ცელქ მოსწავლეს კლასის მკაცრი დამრიგებელი“...

უფრო საბავშვო ლექსები და ზღაპრები იტაცებდა. ამბის დასაწყისს ორიგინალურად „ზღაპრისქუდა“, ხოლო დასასრულს „ზღაპრისკუდა“ უწოდა. მისი თხზულებები სიკეთეს, მოყვასისა და ცოდნის სიყვარულს უნერგავს მოზარდებს.

ფუტკარივით მშრომელი კაცი ყოველთვის უზადოდ ასრულებდა ყველა დავალებას. არ მახსოვს, ვისთან წავიკითხე: ერთ ახალგაზრდა პოეტს გალაკტიონი შეუქია - გენიოსი ბრძანდებითო. პოეზიის მეფეს დაუფიქრებლად უპასუხია: ჰო, ძამიკო, გალაკტიონი გენიოსია, ჯილდოებს კი თქვენ იღებთო. ბატონი დავითი, როგორც ვთქვი, წლების განმავლობაში მუხლჩაუხრელი შრომობდა, სხვები კი თანამდებობრივ კიბეზე წინაურდებოდნენ. ბოლოს და ბოლოს კოტორაშვილის სანთელ-საკმეველმაც იპოვა თავისი გზა — გასული საუკუნის 90-იან წლებში დოქტორის აკადემიური ხარისხი მიანიჭეს და ლიტერატურისა და ხელოვნებათმცოდნეობის მოდულის ხელმძღვანელად დანიშნეს.

მუდამ ხალისიანსა და მომღიმარს ერთხელ დანაღვლიანებულს შევასწარი თვალი. ეს იყო გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე. რა იყო-მეთქი, ვკითხე. მგონი, მეძახიან და უნდა წავიდეო, მითხრა. სად მიდიხარ ან ვინ გიშვებს-მეთქი, გახუმრება ვცადე.

„ეჰ, ვხედავ, ღონე მეცლება... კი მინდოდა, საყვარელ ოჯახთან ერთად ცოტა ხანს კიდევ მეცოცხლა. ხომ იცი, ჩემი გიო ჭკვიანი, მშრომელი ბიჭია, მაგრამ, როცა მამა გვერდით გყავს, მაინც სხვა არის. ეტყობა, ლიმიტი ამომეწურა“... მერე, ჩვეულებისამებრ, გაიბადრა — იმ დალოცვილმა ღმერთმა ხომ იცის, ცუდი არავისთვის გამიკეთებია, ამიტომ საყვარელი ადამიანებისთვის ზემოდან ხანდახან ცალი თვალით მაინც გადმომახედებსო...

ნიკო ლორთქიფანიძე ბრძანებდა, დიდებული ადამიანები უძეგლოდ იკარგებიანო. დავით კოტორაშვილმა, მართალია, ნაადრევად გადაინაცვლა ზეციურ საუფლოში (წლეულს მას 80 წელი შეუსრულდებოდა), მაგრამ ოჯახისთვის, ახლობლებისა და ყოფილი სტუდენტებისთვის არასდროს დაკარგულა, რადგან წმინდა კაცობით, პატიოსნებით, თავმდაბლობითა და სიყვარულით სიცოცხლეშივე დაიდგა ძეგლი ჩვენს გულებში!

ვაჟა დანელია,
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი,
საქართველოს სპორგის დამსახურებული მოღვაწე

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია მწუხარებით იუწყებიან, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 54 წლისა გარდაიცვალა „ლელოს“ თანადამფუძნებელი, საქართველოს საცხენოსნო სპორტის ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი

ბაქარ გაჩეჩილაძე

და თანაუგრძნობენ მწუხარებაში ქართული სპორტული პრესის ფლაგმანის საპატიო რედაქტორს, ჩვენს ძვირფას კოლეგასა და მეგობარს თენგიზ გაჩეჩილაძეს.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სპორტის რედაქციის თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და თბილისის „დინამოს“ ყოფილ პრეზიდენტს მერაბ ჟორდანიას გარდაეცვალა დედა

ნუნუ ნემსაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

თავის დიდ საქმეში გამარჯვებული

ნოდარ ხარატიშვილის ხსოვნა



გარდაიცვალა საქართველოს ტელეკომუნიკაციის მეცნიერული სკოლის ფუძემდებელი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კავშირგაბმულობის ფაკულტეტის დამაარსებელი და ტელეკომუნიკაციის კათედრის გამგე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს კავშირგაბმულობის მინისტრის ყოფილი პირველი მოადგილე **ნოდარ ხარატიშვილი.**

ნოდარ ხარატიშვილმა შრომით და თავდადებით განვლო სახელოვანი გზა. დაიბადა 1937 წლის 27 ივლისს თბილისში. მისი მამა გიორგი ხარატიშვილი პალეონტოლოგიის მიმართულებით ცნობილი მეცნიერი იყო, სანკტ-პეტერბურგის მეცნიერთა ქართული სკოლის წარმომადგენელი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კათედრის გამგე და პროფესორი. ნ. ხარატიშვილმა 1955 წელს წარჩინებით დამთავრა თბილისის 48-ე საშუალო სკოლა, ხოლო 1960 წელს — ასევე წარჩინებით საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის „მათემატიკური და საანგარიშო გამომთვლელი ხელსაწყოებისა და მოწყობილობების“ სპეციალობა. იგი მთელი თავისი ცხოვრება ემსახურა კავშირგაბმულობის (ტელეკომუნიკაციის) დარგის განვითარებას არა მარტო საქართველოში, არამედ სსრკ-ში და მის საზღვრებს გარეთაც. 1964 წელს ვადაზე ადრე დაამთავრა ლენინგრადის ზუსტი მექანიკისა და ოპტიკის ინსტიტუტის ასპირანტურა და დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1985 წელს მოსკოვის კავშირგაბმულობის ინსტიტუტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ციფრული ტელევიზიის მიმართულებით, რაც სადისერტაციო საბჭოს და სსრკ უმაღლესი საატესტაციო კომისიის მიერ მიჩნეული იყო წლის საუკეთესო სადოქტორო დისერატაციად. ნ. ხარატიშვილი იყო საქართველოში პირველი დოქტორი ტელეკომუნიკაციის დარგში. 1986 წლიდან იგი ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორია. 1970 წელს ნ. ხარატიშვილმა დააარსა მრავალარხიანი ელეტროკავშირგაბმულობის კათედრა, რომელსაც ხელმძღვანელობდა 1989 წლამდე. ამავე კათედრის ბაზაზე 1972 წელს ჩამოყალიბდა კავშირგაბმულობის ფაკულტეტი, რომლის სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობას მან დიდი ენერგია შეალია. ამავე კათედრასთან მან შექმნა საკავშირო დაქვემდებარების ციფრული სიგნალების გადაცემის დარგობრივი ლაბორატორია, რაც იმ პერიოდში მისი სკოლის აღიარებას ნიშნავდა. ამ ლაბორატორიის ბაზაზე ჩატარდა რამდენიმე საერთაშორისო სემინარი და სიმპოზიუმი (1977, 1980, 1983, 1989 წწ).

ნ. ხარატიშვილმა ტელეკომუნიკაციის მიმართულებით მეცნიერული ფუძველი ჩაუყარა ქართულ სამეცნიერო სკოლას, სადაც კვლევები მიმდინარეობდა გამოსახულების ციფრული კოდირების და დამუშავების სიტემების როგორც თეორიული, ისე ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებზე. ტექნიკური უნივერსიტეტის კედლებში შექმნილმა აპარატურამ „ინტერკოსმოსის“ პროგრამით გათვალისწინებულ ექსპერიმენტში 1985 წ. გამოცდა გაიარა ქ. დუბნაში და პირველად ყოფილი სსრკ ისტორიაში სამაუწყებლო ფერადი ტელევიზიის სიგნალი ციფრული ფორმით გადაიცა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრით. შემდგომში მის საფუძველზე იქმნებოდა სხვა სპეციალური დანიშნულების მოწყობილობები.

როგორც აღიარებული მეცნიერი, იგი მონაწილეობდა მრავალ ნაციონალურ და საერთაშორისო კონფერენციებში, სიმპოზიუმებში (საქართველო, აშშ, იაპონია, საფრანგეთი, რუსეთი, იტალია და ა.შ) მრავალჯერ იყო არჩეული ასეთი კონფერენციის ხელმძღვანელად, ორგკომიტეტის წევრად. მრავალ ქვეყანაში იყო მიწვეული ლექციების წასაკითხად სტუდენტების, ასპირანტებისა და დოქტორანტებისათვის (აშშ, ჩინეთი და სხვა), ასევე გაეროს ხაზით — განვითარების ხაზით...

მისი ხელმძღვანელობით მომზადებული და დაცულია 31-ზე მეტი დისერტაცია, მათ შორის 4 ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის, 25 ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის, 2 ფილოსოფიის დოქტორის. არის საქართველოში და საზღვარგარეთ გამოცემული 240-ზე მეტი სამეცნიერო შრომის, 5 მონოგრაფიის, გამოგონებაზე 28 საავტორო მოწმობის (პატენტის) ავტორი. განსაკუთრებული ღვაწლი დასდო მან ქართულ ენაზე სასწავლო ლიტერატურის შექმნას.

ნ.ხარატიშვილის ხელმძღვანელობით შესრულებული სამეცნიერო ნამუშევართა ციკლისთვის 1986 წელს ახალგაზრდა მეცნიერთა ჯგუფმა დაიმსახურა საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, ხოლო სტუდენტური სამეცნიერო ნაშრომი დაჯილდოვდა საკავშირო კონკურსის ოქროს მედლით.

მან 1988 წელს პირველად რეგიონში (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) შექმნა სამეცნიერო ხარისხების მინიჭების სპეციალიზებული საბჭო, ხოლო 1991 წლიდან სტუ-ში კავშირგაბმულობის დარგში ასეთივე საბჭოს უცვლელი თავმჯდომარე იყო.

სხვადასხვა დროს ნ. ხარატიშვილი იყო სსრკ მეცნიერებათა აკადემიის „სტატისტიკური რადიოფიზიკის“ სამეცნიერო საბჭოს წევრი, ფერადი ტელევიზიის დარგში სსრკ-საფრანგეთის შერეული კომისიის წევრი, გაეროს კოსმოსური კავშირგაბმულობის საერთაშორისო სკოლა-სემინარის ხელმძღვანელის მოადგილე, საფრანგეთის გამოყენებითი მეცნიერების ნაციონალური ინსტიტუტის სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი კომისიის წევრი.

1990-1992 წლებში ნ. ხარატიშვილს ეჭირა სტუ-ის პრორექტორის თანამდებობა სამეცნიერო დარგში. 1991 წელს მისი უშუალო თაოსნობით კავშირგაბმულობის ფაკულტეტზე გაიხსნა ინგლისური სექტორი. 1992-1998 წლებში ნ. ხარატიშვილი იყო საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის მინისტრის პირველი მოადგილე. მისი უშუალო მონაწილეობით საქართველო გახდა კავშირგაბმულობის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი და მიენიჭა საერთაშორისო სატელეფონო კოდი (995), საქართველო გაწევრდა თანამგზავრული კავშირგაბმულობის ორგანიზაციებში — „იუტელსატში“ და „ინტერსპუტნიკში“.

იგი იყო ინფორმატიზაციის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი, კავშირგაბმულობის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი და პრეზიდიუმის წევრი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, კავშირგაბმულობის საერთაშორისო აკადემიის საქართველოს განყოფილების პრეზიდენტი... აშშ-ის ბიოგრაფიის ინსტიტუტმა ნ. ხარატიშვილი მისი დამსახურებისათვის 1998 წლის გამოჩენილ მოღვაწედ აირჩია. 1998 წელს ნიუ-იორკში გამოცემულ წიგნში „მსოფლიოს აღიარებული ლიდერები“ შეტანილია ნ. ხარატიშვილის ბიოგრაფია.

ნ. ხარატიშვილისათვის მნიშვნელოვანი იყო მისთვის მშობლიური კუთხის — კახეთის საპატიო მოქალაქის მინიჭება. მის სამეცნიერო და საზოგადო მოღვაწეობასთან ერთად არ შეიძლება გვერდი ავუაროთ და გავიხსენოთ მისი შრომისუნარიანობა, სისხლსავსე და შინაარსიანი ცხოვრება, სიახლეებისადმი მუდმივი სწრაფვა. ყველა ასპირანტს და თანამშრომლებს ყოველთვის ემახსოვრებათ მისი თაოსნობით სპორტულ შეკრებებთან ერთად ბაკურიანში და გუდაურში გამართული სამეცნიერო სემინარები, რაც ხელს უწყობდა თანამშრომელთა შორის ჯანსაღი ურთიერთობების დამყარებას, შემოქმედებით იმპულსს.

2001 წლიდან ნ. ხარატიშვილი თურქეთის კომპანია „თურქსელმა“ მიიწვია კონსულტანტად მობილური კავშირის სისტემების უკრაინაში დანერგვისთვის და უკრაინულმა კომპანიამ იმ წლებში მიიღო „ყველაზე წარმატებული“ მობილური კომპანიის სტატუსი.

ახასიათებდა რა ახლის ძიების იშვიათი უნარი, მან 72 წლისამ დაამთავრა აშშ-ის საფრენოსნო სკოლა და მიიღო მფრინავის ლიცენზია — აისრულა თავისი ბავშვობის ოცნება. ხოლო შემდეგ ასეთივე დამატებითი ლიცენზია მიიღო ატლანტის ოკეანეზე ორძრავიანი თვითმფრინავით გადაფრენაზე, რის შემდეგაც მოახდინა გადმოფრენა აშშ-ის შტატ ჯორჯიიდან კანადა-გრენლანდია-ისლანდია-შოტლანდია-დანია-პოლონეთი-უკრაინა-საქართველოს მარშრუტით.

ბატონი ნოდარი ამბობდა: სიცოცხლის ტონუსის შესანარჩუნებლად აუცილებელია ადრენალინი. ყოველთვის უნდა გქონდეს მიზანი, ხოლო, როდესაც მის შესრულებას მიუახლოვდები, პარალელურად უკვე უნდა გაგაჩნდეს ახალი დასახული მიზანი და ა.შ. მას მრავალი მიზანი დარჩა შეუსრულებელი.... დასანანია....

მეგობრებთან და ახლობლებთან მისი საყვარელი სადღეგრძელო იყო გაუმარჯოს „კოზა ნოსტრას“ (ჩვენს საქმეს)!.... ის მართლაც თავისი საქმეებით ვალმოხდილი და წარმატებული წავიდა თავისი ქვეყნიდან.

მსუბუქი იყოს მისთვის ქართული მიწა. უფალმა ნათელში ამყოფოს!

ნ. ხარატიშვილის თანამშრომლები და მეგობრები: პროფესორები:

რ. სვანიძე, ჯ. ბერიძე, ი. ჩხეიძე, ო. ზუმბურიძე, გ. მურჯიკნელი, გურ. მურჯიკნელი, კ. ხოშტარია, ს. შავგულიძე, ნ. ულრელიძე, ა. როგიტაშვილი, გ. კაკუბერი, ბ. ღვინჯილია, ა. კოტია, თ. კუპატაძე, ჯ. ხუნწარია, ო. შამანაძე, ვ. აბულაძე, ვ. ნანობაშვილი, ვ. პაპუნაშვილი, მ. გოთოშია, თ. მთვრალაშვილი, ზ. რუხაძე, რ. სეროპიანი, ო. ტომარაძე, გ. ნოზაძე, კ. კილაძე, გ. კურტანიძე.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი, ტელეკომუნიკაციის დეპარტამენტი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოში ტელეკომუნიკაციის მეცნიერული სკოლის ფუძემდებელი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კავშირგაბმულობის ფაკულტეტის დამაარსებელი და ტელეკომუნიკაციის კათედრის გამგე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ნოდარ ხარატიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი: პარასკევს, 14.00-18.00 სთ, გამოსვენება შაბათს, 15.00 საათზე, წმინდა ანდრია პირველწოდებულის ტაძრიდან (ვაკე, ჭავჭავაძის გამზირი № 33). დაკრძალვა საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

სულთათანა

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ შემოქმედებითი კოლექტივი თანაუგრძნობს ცნობილ ჟურნალისტს თენგიზ გაჩეჩილაძეს შვილის

ბაქარ გაჩეჩილაძის

გარდაცვალების გამო.

ნათელა გაჩეჩილაძე, ვახტანგ, მაია, თეა დავითაიები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ბაქარ გაჩეჩილაძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მშობლებს, მედეა და თენგიზ გაჩეჩილაძეებს, მეუღლეს ირმას, შვილებს თორნიკეს და ცოტნეს. მსუბუქი იყოს, ჩვენო ბაქარ, ქართული მიწა, შენი დიდი ხნის უნახავი უმცროსი ძმის, ვამეხის გვერდით.

ვეტერანი მოფარიკავეები: **იური ოსიპოვი, არჩილ გოგელია, გურამ კოსტავა, გიორგი ცაგარელი, ზურაბ ცქიტიშვილი, ზაზა მჭედლიძე, დავით სახვაძე** ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ცნობილი ჟურნალისტის, გაზეთ „ლელოს“ საპატიო რედაქტორის, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებლის, ბატონი თენგიზ გაჩეჩილაძის შვილის

ბაქარ გაჩეჩილაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

მძახლები სპარტაკ გოგინავა, ლილი დაუშვილი, ქალიშვილი მაიკო ჩქარეული, სიძე ლევან გოგინავა, შვილიშვილები ნუცა, იოვანე, დემეტრე გოგინავები ღრმა მწუხარებითა და გულისტკივილით იუწყებიან კარგი მამისა და ბაბუის, კეთილშობილებით გამორჩეული საიმედო მეგობრის

ანზორ ჩქარეულის

გარდაცვალებას.

დიდმარხვის მეოთხე კვირიაკე

10 აპრილს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ქრისტიანული წესით აღსრულებულ ადამიანებს.

* * *

11 აპრილს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ღირს იოანე სინელს (კიბის აღმწერელს). ის მოღვაწეობდა სინას მთაზე (575-650 წწ.) ის ცნობილია როგორც „სქოლასტი“.

აღსანიშნავია, რომ თავის თხზულებაში „კიბე“ ის მოგვითხრობს სამონაზვნო ცხოვრების შესახებ, ჭეშმარიტი უბიწო ცხოვრების კეთილისმყოფელ მხარეებზე, რომელიც წარმოადგენს ქრისტიანული ცხოვრების სრულყოფილების იდეალს.

საგულისხმოა ისიც, რომ ეს ნაწარმოები ქართულად სამჯერ უთარგმნიათ.

გიული ლიპარტია

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქი!

სპეციალურად დედაენის დღისთვის კომპლექსური და მრავალფეროვანი ღონისძიებებია **დაგეგმილი ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის,** — ამის შესახებ „თბილისი — წიგნის მსოფლიო დედაქალაქი 2021“-ის პროექტის დირექტორმა ნინია მაჭარაშვილმა „იმედის“ გადაცემა „დედაქალაქში“ განაცხადა.

„საბავშვო მიმართულებით ჩვენ გვექნება მასტერკლასები და ვორქშოფები, კონკრეტულად ტიპოგრაფიასა და მხატვრობაში. მოზარდებისთვის გვექნება შემოქმედებითი წერის მასტერკლასი, ხოლო მოზრდილებისა და ნებისმიერი დაინტერესებული ადამიანისთვის ჩვენ გვექნება განხილვა-დისკუსია 1978 წლის 14 აპრილის, ამ ისტორიული თარიღის შესახებ. ასევე გვექნება მუსიკალური ნომრები. ამჟამად იუნესკოს გუნდი, თბილისის მერიის მხარდაჭერით, ამზადებს დოკუმენტურ ფილმს, რომლის ანალოგიც არ არსებობს და მასში მონაწილეობას მიიღებენ ამ პროცესებში ჩართული ადამიანები, მკვლევრები და გვექნება არაჩვეულებრივად მოძიებული საარქივო მასალა. სწორედ ამ დოკუმენტური ვიდეოს პრეზენტაციით დაიწყება ეს ღონისძიება“, — განაცხადა ნინია მაჭარაშვილმა.

* * *

ნამდვილად აღსანიშნავი ამბავია, რომ 23 აპრილიდან თბილისი კუალა-ლუმპურისგან გადმოიბარებს მსოფლიო წიგნის დედაქალაქის სტატუსს. კუალა-ლუმბური მერვე ცდაზე გახდა მსოფლოს წიგნის დედაქალაქი.

„უპირველეს ყოვლისა, ჩვენ შევავსეთ აპლიკაცია, რომელიც საკმაოდ სქელტანიანი იყო. წინასწარ შევათანხმეთ ეს პროექტი ჩვენს პარტნიორებთან. ამის შემდეგ ჩვენ გავიარეთ დისტანციური გასაუბრება და მხოლოდ ამის შემდეგ, 2019 წლის 7 ოქტომბერს გამოაცხადა იუნესკომ, რომ თბილისმა მოიპოვა მსოფლიოს წიგნის დედაქალაქის სტატუსი. იყო ზუსტად 2 კრიტერიუმი: პროექტების მდგრადობა და პროექტების ორიგინალურობა“, — განაცხადა ნინია მაჭარაშვილმა. მისივე თქმით, თბილისის მერიის ძალისხმევით, თითქმის ყველა ის პროექტი შენარჩუნდა და განხორციელდა, რაც აპლიკაციაში იყო დაწერილი.

91 წლის პოლიციელი

აშშ-ში, ქალაქ კემდენში 91 პოლიციელი მუშაობს, რომელიც პენსიაზე გასვლას არ აპირებს. ელ სი სმიტი სამართალდამცავ ორგანოებში უკვე 56 წელია მუშაობს. მაისში ის 92 წლის გახდება, მაგრამ სამსახურისთვის თავის დანებებას მხოლოდ მაშინ აპირებს, „როცა ამას უფალი ეტყვის“. **სმიტი კემდენის შერიფის თანაშემწედ 46 წელი მუშაობდა, როცა პენსიაზე გავიდა, მაგრამ რამდენიმე თვეში მიხვდა, რომ სამსახურის გარეშე არ შეუძლია და მუშაობა გააგრძელა.**

ახლა სმიტი კვირაში 4 დღის განმავლობაში მუშაობს. ის სამეზობლოს გუშაგების საორგანიზაციო საკითხებით არის დაკავებული და სხვადასხვა გამოძახებაზე დადის. ქალაქის პოლიციის საჯარო ურთიერთობის დეპარტამენტში აღნიშნავენ, რომ სმიტი კემდენში ძალიან უყვართ. ადგილობრივები იხსენებენ, რომ რამდენიმე წლის წინ, დიდთოვლობის დროს, სმიტმა თავისი ავტომობილის დაქოქვა ვერ მოახერხა, მაგრამ სამსახურის გაცდენა არ უნდოდა და განყოფილებაში ფეხით მივიდა.

ილონ მასკის ახალი ფანტაზიები

მსოფლიოს მილიარდელთა სიის ერთ-ერთი ლიდერი ილონ მასკი ცნობილია თავისი „გიჟური“იდეებით. **როგორც აღმოჩნდა, მის კომპანია „Neuralink“-ი ისეთი ტექნოლოგიებით არის აღჭურვილი, რომ მას თავისუფლად შეუძლია გადაშენებული დონოზავრების თავიდან შექმნა.**

აქ ლაპარაკი ერთ ან ორ რეპტილიაზე კი არა მთელს „იურულ პარკზე“ მიმდინარეობს. რა თქმა უნდა, ახალი გამოყვანილი ცხოველი, გადაშენებულის ანალოგი ვერ იქნება, თუმცა თითქმის იდენტური სახე ექნება. რამდენად განხორციელდება მილიარდელის ეს უტოპიური იდეა, მომავალი გვიჩვენებს. თუმცა მსოფლიოს მეცნიერების დიდი ნაწილი ბუნებაში მსგავსი ჩარევების კატეგორიული წინააღმდეგია.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 12 მარტს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.4134; ევრო - 4.0585;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.7187;
100 რუბლი - 4.3970; თურქული ლირა - 0.4179;
აზერბაიჯანული მანათი - 2.0058;
1000 სომხური დრამი - 6.3564.

ამინდი 9 აპრილისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +10, დღე +22
მთიანი რაიონები - ღამე +5, დღე +23
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +7, დღე +14
მთიანი რაიონები - ღამე +6, დღე +17
თბილისი: ღამე +13, დღე +23

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge